

825

1985

ISSN: 0763-7247



გუმაგი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი

N° 5

PARIS

აპრილი

1985

AVRIL

გ უ შ ა გ ი № 5

1985 წლის აპრილი



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაჭუდარი, უკრავთ გამოსახულის, შენ ჩამოსახულის, შენ ჩამოსახულის წმინდა საყდარი,
„შენ ხარ ჩამოსახულის, შენ ჩამოსახულის წმინდა საყდარი,
„შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეწისა,
„შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“ — ი ლ ი ა

ქ რ ი ს ტ ე ა რ ს ჩ გ ა!

ძვირფასნო თანამემამულენო, გილო-
ცავთ ქრისტიანობის ამ უდიდეს
და ულამაზე დღესასწაულს, მაცნეს:
გაყაფს ულისა, სიცოცხლის განახლე-
ბა-მარალისონბისა, და მით, განმტკი-
ცებელს აღამიანის ჩინები საკეთილი
იმედისა.

„გ უ შ ა გ ი“ — „თავისუფლების ტრიბუნა“-ს
„გ უ შ ა გ ი“ — „თავისუფლების ტრიბუნა“-ს გაგრძელება.
დევიზი : სამშობლო და თავისუფლება!

გამოცემის პასუხისმგებელი : გიორგი ჭეთიშვილი
მისამართი : 8, Rue des Marchais, 75019 Paris.

Tel ephone : 607 - 08 - 14.

ISSI : 0763 - 7247



გ ლ ი ვ ი ს % ა რ ე ბ ი კ რ ე მ ლ შ ი



კრემლის საიდუმლოებებით მოცულ სასახლეს გლოვის ზარები გაუხშირდა. სამ წელიწადში სამი კომუნისტი თვითმყრობელი გამოასვენეს იქიდან: 1982 წლის 9 ნოემბერს (ოფიციალური ცნობით) წარმედილი სული ამოხდა ლეონიძ ბრეენევს, რომლის სასიკვდილო აგონია წლობით გრძელდებოდა; მის შემცვლელ იური ანდროპოვს, საბჭოთა წესწყაბილების ბოროტების მთავარი ბუღის—ჩეკა-კაგების—ყაფილ გამგებელს, განგებამ არ აცალა სრულად გამოეგლინა მისი ნიჭი და უნარი ბოროტების სამსახურში, მალე ისიც უკურნებელი სენით შეპყობილი ლოგინად ჩავარდა, სიკვდილთან ბრძოლა თვეობით გაგრძელდა, რომლის დასასრული 1984 წლის 9 თებერვალს კრემლმა საჯაროდ გამოაცხადა; კრემლის ფარულ კონკლავს ამჯერად კომუნისტური იმპერიის ტახტზე აჰყვას, ჯერ კიდევ ბრეენევის მიერ გამორჩეული მემკვიდრე, ლექსანდრე უსტინის ძე ჩერნენკო. არც ამას დასაცალდა ძალაუფლებით თრობის ბედნიერება, სულ რაღაც 4 - 5 თვის შემდეგ ლოგინად ჩავარდება აუდგომლად და წელს 11 მარტს (ოფიციალურად) კრემლის სამგლოვიარო ზარები მის სიკვდილს გვამცნობენ.

თუ გულმავიწყბას არ გამოვიჩენთ, ისიც შეგვიძლია გავიხსნოთ, რომ, ჩერნენკოს გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, 1984 წლის 20 დეკემბერს, ავრეთვე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოების თავდაცვის მინისტრი, არა მხედარი, მაგრამ მარშალი დიმიტრი უსტინოვი, რომელიც გახლდათ კრემლის კონკლავის დიდი შემძლე გვამი. ბრეენევის სიკვდილის შემდეგ იგი თვით ქმნიდა წითელ თვითმყრობელებს. იმასაც ამბობენ, რომ მან ხელი შეუწყ სიკვდილისაგან განწირულ ანდროპოვისა და ჩერნენკოს გახელმწიფებას იმ იმედებით, რომ მათი ეფემერული ხელმწიფების შემდეგ ხელისუფლების სადაცეები მას დარჩებოდა. მაგრამ, სიკვდილი მის მიმართაც ფლიდი გამოდგა, სწორედ იმ დროს უღალატა მას, როცა გაფართოებული რომანვების იმპერიის სკიპტრა და გვირგვინი მას ხელის მისაწვდენად უახლოვდე-



ბოლენ.

ზოგი ფიქრობს, რომ ეს ამაზრზენი მოხუც ცხეფიშთა უძურული დეტი საბჭოთა რეუიმის თანდაყოლილი თვისება იყს, მე კი ამას პირადად ბრენევის უნდო ბუნებას მივაწერ. სასახლის შეოქმულებით ხელისუფლების სათავეში მოსულს, მას ავადმყოფური შიში ჰქონდა აღზათ მასზე ახალგაზრდა, ენერგიული და უმაღლესი ამბიციების მქონე გადღების, რომლებსაც თავისი ზეობის თითქმის ოცი წლის განმავლობაში გზას უკარტავდა ხელისუფლების უზენაეს წყაროსაკენ. ამით მან მიაღწია უდრტევინველ ბატონობას, მაგრამ, როცა იგი გარდაიცვალა, მის ირგვლივ მის შესაცვლელად აღარავინ დარჩა, გარდა ავადმყოფობითა და ხანდაზმულობით მიხრწნილი კურტიზანებისა. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა და გონიერაგამჭრიახიც ისევ 69 წლის იური ანდრობოვი იყო, კრემლის ფარულმა კონკლავმაც არჩევანი მასზე შეაჩერა, მაგრამ ხომ ნჟაქვამია: კაცი ბეჭობდა ღმერთი იცინოდაო! ანდრობოვი უკურნებელი სენით აღმოჩნდა შეპყრობილი.

როგორც ახლა ირკვევა, მისი ხანმოქლე ხელმწიფება მთლად უშედეგო არ ყოფილა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. მან იმ მცირე დროში მოასწრო ხელისუფლების ზედაპირზე ამოერივ-ტივებია თითქმის ერთი თაობით მასზე უმცროსი მიხეიღებორბაჩოვი და აი, ჩერნენკოს ეფემერული ინტერმედის შემდეგ სწორედ მას ვხედავთ საბჭოთა სახელმწიფო კიბის უმაღლეს საფეხურზე.

ამჟამად დასაცლეთელ პოლიტიკურ მარჩიელებს თითქმის არ შეშლიათ, ჩერნენკოს გარდაცვალების გამოცხადებიდან 24 საათსაც არ გაევლო, რომ კრემლის ორაკულმა დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ (ეს უკვე მტკიცე ტრადიციად იქცა კრემლში: ის ვინც მკვდარ დიქტატორს ასაფლავებს, მის თანამდებობასაც ის იგავებს.) და, მაშასადამე, სსრკ კპც გენერალურ მდივნად მიხეილ გორბაჩოვი გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ დასაცლეთისათვის მოულოდნელობას არ ჰქონებია ადგილი, ამ ამბის გაგებამ პატარა სენსაცია გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის გარედ მყაფი სამყაროს საზოგადოება უკანასკნელი ჰა წლის განმავლობაში მიეჩივა ხედავდეს კომუნისტური სამყაროს მეთაურად ძლივს მბობლავ ღრმა მოხუცებულს. გორბაჩოვი კი არც

ისე მოხუცია (54 წლისაა) და შესახედავადაც საღ-ყალაბერებული გამოიყურება. (ღვთის განგებას კი ვინ მიხვდება!!! ყიშ-დიდობების ბევრს გაუკვირდა კრემლის ღერონტოკრატიის ასეთი სწრაფი გადაწყვეტილება, მაგრამ სინამდვილეში არც დიდ აჩქარებას არ ჰქონებია ადგილი თუ გავითვალისწინებთ, რომ გასული წლის ივლისიდან ჩერნენკო უხილავი გახდა, მაშასადამე მძიმედ იყო ავად ამის შემდეგ 7 - 8 თვის განმავლობაში, რაც საკმარისზე მეტი დროა, რომ პოლიტბიუროს წევრები მათი მომავალი მეთაურის კანდიდატურაზე შეთანხმებულიყვენ. როცა მ. გორბაჩოვი ინგლისის პოლიტიკური წრეების მოსახიბლველად გამოუშვეს, გასული წლის 15 - 21 დეკემბერს, მაშინ ის უკვე ფაქტიურად არჩეული იყო უმაღლეს პოსტზე. კარპოვმა, რომელიც უენევაში შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს, უურნალისტებს დაუფარავად განუცხადა: ჩერნენკოს სიკვდილი ჩვენ არ დაგვაბრკოლებს, აქეთ გამომგზავრების წინ ინსტრუქციები გორბაჩოვისგან მიიღილეთ, გორბაჩოვი თავმჯდომარეობდა პოლიტბიუროს კრებას, რომელმაც მიიღო საბჭოთა კავშირის პოზიცია შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ამ კრებას კი ადგილი ჰქონდა 7 მარტს. ანდრეი გრომიკომაც, როცა მისი ახალი პატრონის კანდიდატურა ცენტრალური კომიტეტის პლანუმს დასახტებიცებლად წაუჟნა, გორბაჩოვის სხვა დამსახურებათა შორის ისიც ხაზებაშით მოიხსენია; რომ ჩერნენკოს ავადმყოფობის დროს გორბაჩოვი წარმატებით ხელმძღვანელობდა პოლიტბიუროს საქმიანობასთ.

ჟელა ამ თვალისდამთხელი ფაქტების მიუხედავად საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა ურცხვად ცრუობდა ჩერნენკოს მძიმე ავადმყოფობის მრავალი თვეების განმავლობაში, თითქოს იგი განაგრძნობდა აქტიურ საქმიანობას პარტიისა და სახელმწიფოს სამსახურში. როცა იგი სიკვდილის აღნიაში იყო, თითქმის ყოველდღიურად ჭვერდებოდა საბჭოთა პრესაში მისი ხელმოწერილი გრძელ-გრძელი სტატიები და მომართვები, რომელიც საბჭოთა კავშირისა. და მთელი მსოფლიოს აქტუალურ საჭიროობრო საკითხებს საბჭოურად ჰასუხობდენ.

არის მომენტები, როცა სახელმწიფოს ინტერესები დროებით მოითხოვს, რომ ფართო საზოგადოებამ სიმართლე არ იცოდეს,

მაგრამ აქაც საჭიროა სახელმწიფოს მესვეურებმა ჰომილუნები ბა და ტაქტი გმოიჩინონ, რასაც სრულიად მოკლებული მიზანიან საბჭოთა ხელისუფალი; მათი ხელმწიფება სიცრუეზეა დაფუძნებული, სიცრუეს ემსახურება და მხოლოდ სიცრუეში პოლიტიკურობის გამართებას. ეს კარგად იციან საბჭოთა მოქალაქეებმა, ამიტომაც ხელისუფალთა განცხადებებს ისინი არად აგდებენ. სამაგიეროდ მათი ცრუობის რკესებზე ხშირად ეგებიან დასავლეთის გულუბრჯილო მოღვაწეები. ამ მხრით დამახასიათებელი და სანიმუშო მაგალითია ინგლისის პრემიერ მინისტრის განცხადება სწორედ მიხაილ გორბაჩივის შესახებ. ამ სახელგანთქმულმა სახელმწიფო ქალმა უღალტა მასზე გავრცელებულ „რკინის ქალბატონის“ ლეგენდას და გორბაჩივის მოგონილი დარღმიმქდობის წინაშე თაფლის სანთელივით დადნა. ვინძლო, რომ მან არ ინანოს მისი აჩქარებული შეფასება! ქეშმარიტად თქმულა: „ჩალა შეი ქმს. სიყვარულსაო.“ გორბაჩივის ფლიდმა ღიმილმა არ უნდა დაავიწყოთ, რომ სულ ცოტა ოთხი უკანასკნელი წლის საბჭოთა ხელისუფლების უკანონობის, უსამართლობის, დამომრეობის და ბოროტების პასუხისმგებლობა სხვებთან ერთად მასც აკისრია.

ვინაა მ. გორბაჩივი, ანდა უკედ, როგორია მისი წარსული? მ. გორბაჩივი დაბადებულია 1931 წ. 2 მარტს სტავროპოლის მხარის გლეხის ოჯახში. 1952 წ. შედის პარტიის რიგებში, 55-ში ქთავრებს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, ხოლო 67-ში სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. 1955 წლიდან არის სტავროპოლის ქალაქის კომავჭირის კომიტეტის მდივანი, შემდეგ კი იგივე კომიტეტის სამხარეო კომიტეტის მდივანი; 1962 წლიდან მას ნიშნავენ სტავროპოლის კოლეჯურნებებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად და იმავე წლის დეკემბერში-კომპარტიის სამხარეო კომიტეტის განცხადილების გამგედ. 1966 წ. მას ნიშნავენ სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პარველ მდივნად; 1968 წ.-სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მდივნად და 70-ში —



კი პირველ მდივნად..

ორივები
უზღუდული

1971 წელში მ. გორბაჩოვი გადაჰყავთ სამუშაოდ მოსკოვში, მას ირჩევენ სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, 1978 წელში ის უკვე ცენტრალური კომიტეტის მდივანია, ერთი წლის შემდეგ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ, 1980 წელში, საბჭოთა კავშირის ამ უზენაესი ძალაუფლების ორგანოს სრულუფლებიანი წევრი, სადაც პარტიის ორგანიზაციის საკითხების გარდა მ. გორბაჩოვს აბარია საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ზედმხედველობა. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობა საბჭოთა ეკონომიკის ჯელაზე უფრო მტკიცნეული უბანია. ის განსაკუთრებით მწვავე ქრიზისს განიცდის სწორედ ამ უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო გეგმები ვერა და ვერ სრულდება, ყველწლიურად ადგილი აქვს „სოფლის მეურნეობის მმართვის გაუმჯობესების“ ლონისძიებებსა და რეფორმებს, რომლებსაც შეეწირა ბევრი მსხვილი პარტიული ბობოლის კარიერა, მათ შორის თვით სოფლის მეურნეობის მინისტრიც მოხსნილი იქნა თანამდებობიდან. პირადად გორბაჩოვი კი, როგორც ჩანს, უარღვნიდან მშრალად გამოვიდა.

ასეთია მოკლედ მ. გორბაჩოვის პოლიტიკური წარსული, რომელიც შეიძლება მოდელად ჩაითვალოს ნებისმიერი ბელნიერვარსკელაზე დაბალებული საბჭოთა ნომენკლატურის სტილთვის. იგი ჩვენ არაფერში არ გამოგვადგება მისი მომავალი პოლიტიკური ნაბიჯების სამარჩიელოდ. იგი კეშმარიტი ნაყოფია საბჭოთა ბიუროკრატიის, ხმის შეუბრუნებლად ამსრულებელი უფროსების ღირექტივების; მას რომ საკუთარი პოლიტიკური აზრი გამუღლავნებულად პქნებოდა, ვერც ხელისუფლების ზედაპირზე ვერ ამოტივტივდებოდა, სადღაც მღელვარე ტალღებში შთანთქმებოდა, ანდა „გულაგების“ არქიპელაგში ამოყოფდა თავს.

ამიტომ მ. გორბაჩოვი პოლიტიკური სფინქსია! მისგან ჯელაფერს შეიძლება მოგელოდეთ: ცუდსაც და კარგსაც. უფრო კი-ცუდს! ამ ორჭოფობაში, ერთი უდავოა: მ. გორბაჩოვს არ ძალუს, არ ხელეშიიფების ჩვენი სანატრელი და საოცნებო თავისუფლების მონიკება, იმ უბრალო და ადგილად ასახ-სნელი გარემოების გამო, რომ ის ტყვება სწორედ იმ ძალების, რომლებიც ადამიანებისა და ხალხების თავისუფლებას თრგუნავენ.

 ეროვნული მოძრაობა საქართ - შეკვეთული
 (მოკლე მიმოხილვა)



მეათე საუკუნიდან დაწყებული საქ. ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა იყო მთელს კავკასიაში, რომელსაც შენარჩუნებული პერიოდი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ხოლო მეთხუთმეტე საუკუნიდან კი, ბიზანტიის დაცემის შემდეგ ერთადერთი დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო მაჰმადიანთა მიერ დაპყობილ მთელ სამხრეთ აღმოსავლეთში.

შუნებრივია, რომ, რუსეთის მონარქიულთა ბატონობისაგან განთავისუფლების დროიდან, საქართველო ცდილობდა მასთან ურთიერთობის დამყარებას, ვინაიდან ორივე ერთსა და იგვენი სარწმუნოებას იზიარებდნენ და საქართ-ს მტრები რუსეთის მტრებიც იყვნენ.

მაგრამ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, რუსეთს არაერთხელ უღალატია ქართველთათვის მტრულად განწყობილი მაჰმადიანი მეზობლების წინააღმდეგ ბრძოლების წარმართვის დროს, როდესაც რუსეთი დანაპირებ დახმარებას არ უწევდა საქართ-ს. ასე იყო პეტრე პირველის მეომბის პერიოდში, სპარსეთთან ომის დროს და უკატერინე მეორის მეფობისას, თურქეთთან ომის დროს.

როდესაც საქართველოს მეფე ერეკლე მეორე დარწმუნდა მაჰმადიანური ექსპანსიონიზმისადმი წინააღმდეგობის გაწევის შეუძლებლობაში, მან 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ გადასცა, სამეფო ტახტისა და საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. რუსი მეფეები კი, ხედავდენ რა საქართველოს მძიმე მდგომარეობას, სარგებლობდენ ამით და სისტემატიურად არღვევდნენ ამ ტრაქტატის სხვადასხვა პუნქტებს. საბოლოო ჯამში, მრავალი სახის ვერაგობის, მუხანათობის, გაიძვერობის, ღალატისა და ძალის გამოყენებით, რუსეთმა საქართ-ში გააუქმა სამეფო ტახტი და იგი „თბილისის გუბერნიად“ შეიქმნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მაჰმადიან ქვეყნას, იქნებოდა ეს სპარსეთი, თურქეთი თუ სხვა, საქართველოს დაპყობის შემთხვევაში სამეფო არ გაუუქმებია.

ამ პერიოდიდანვე იშება საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება, რამაც ქართველი ხალხის დიდი უკმა-

ზოფილება და ჯუნიურები გამოიწვია. 1801 - 1905 წლებში აჯანყებულთა დროშა. მრავალჯერ აფრიკალებული და მრავალჯერ ჯერ ჩამოგლეჯილა, სისხლში ამოსვრილი. ჯელი ეს აჯანყება მიმართული იყო რუსეთის წესწყაბილების წინააღმდეგ.

ჯელი აჯანყება სრული დამარცხებით დასრულდა, მაგრამ ხალხი ამ ბრძოლებში თვის ზნეობრივ დაკმაყოფილებას პოულობდა და ერი ნებისყოფას იმტკიცებდა.

მეცნიერებულ საუკუნის დასასრულიდან იწყება ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ასპარეზზე გამოსვლა, ქართველი ხალხი ამ პარტიებში ირაზმება და მათი წინააღმდეგობის სულიც ამ პოლიტიკურ პარტიებში გადადის და ბრძოლა უკვე ჩამოყლიბებულ პოლიტიკურ ხასიათს დებულობს.

ასეთი ბრძოლის სულის მატარებელმა ერმა 1918 წელს თავისი სახელმწიფოებრივობა აღადგინა და საკუთარი ცხოვრების მოწყობას. შეუდგა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, 1921 წელს დამხობილი იქნა ბოლშევკიური რუსეთის წითელი არმიის მიერ, რომელიც საქართველოში ვერაგულად შემოიჭრა, ქართველ ბოლშევიკ სერგო ორჯონიქიძის მეთაურობით.

მას შემდეგ ქართველი ხალხი არც დამოუკიდებლობის დაკარგვისა და არც უცხო წესწყაბილებას არ შეგუებია. ლია ბრძოლებში დამარცხებული ქართ. ხალხი ფარული ბრძოლის მეთოდზე გადადის, ეროვნულ პარტიებში ირაზმება, ხან კუთხოურ სტიჟიურ აჯანყებს აწყობს, ხან საყველთაო ორგანიზებულ აჯანყებას, ხალხი მარცხდება, დამპყრობელები სასტიკად უსწორდებიან და ა. შ. ამ სახელოვანი ეროვნული ბრძოლის ერაპების დაწვრილებით აღწერა ჩემს დღევანდელ თემას არ შეადგენს და უშუალოდ გადავალ ათას ცხრას ორმოცდაათიან წლებშე.

ამ პერიოდზე რომ სწორი წარმოდგენა გვქონდეს, საჭიროა მხედველობიდან არ გავუშვათ ის დიდი მსხვერპლი ქართველ პატრიოტების, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ რეპრესიების ხანით შეიწირა ომის დაწყებამდე და შემდეგ ის ოთხასი ათასი ახალგაზრდა (ჩვენი ერის ერთი მეშვიდედი), რომელიც შეეწირა ომს, რომელიც შორს იდგა საქართველოს ინტერესებისგან. 1956 წელს, 9 მარტს თბილისში ჩატარდა მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც რამდენიმე ათასი ახ-

აღგაზრდა მონაწილეობდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, დღემონი სტრანტთა ლოზუნგები ძირითადად პროსტალინური სტრატეგიას ხალხის ეროვნული შევიწროება გამოიხატა პროტესტში, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კომპარტიის მე-20-ე ჭრილობის მიერ სტალინის მოქმედებათა მხილების წინააღმდეგ.

ეს დემონსტრაცია, რომელიც სტალინის მმართველობის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო საბჭოთა კავშირში ღია პოლიტიკურ გამოსვლებს შორის, ტრადიკულად დამთავრდა. მის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული იქნა ტანკები, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია.

მას შემდეგ, საქართველოში 20 წელზე მეტი წელის მანძილზე მასობრივი გამოსვლები აღარ ყოფილა, მაგრამ ეროვნული მოძრაობა არ შეჩერებულა. ქართველთა ეროვნული გრძნობები, ანტირუსული და ანტისომხური ანტიპათიები დღესაც გავრცელებულია საზოგადოების ფერი ფერებში.

ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის ძირითად ძალას მოსწავლე ახალგაზრდობა-სტუდენტობა წარმოადგენს. ყველაზე მეტად ამ განწყობილებას გამოხატვა აქვს თბილისში, — მისი ცენტრი კი-თბილისის უნივერსიტეტია.

სამოციან წლებში არსებული კომუნისტური წესტყობილების მიმართ სიძულვილის გამოხატვის ფორმას საქართველოში ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ეკლესიისადმი მისწრაფება წარმოადგენდა. განსაკუთრებით ეს ვლინდება სააღდგომო დღესასწაულების დროს. ამ დღეებში ეკლესიები გავსებული იყნენ ხალხით. ახალგაზრდობამ დაიწყო პატრიარქის ქადაგებებზე დასწრება. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ეკლესიისადმი ეს მისწრაფება უფრო მოდას წარმოადგენდა, რომელიც ეროვნული გრძნობების გაღვივებით იყო გამოწვეული. ახალმორწმუნეთათვის დამტასიათებელი იყო ყველგვარი ქართულისადმი პატივისცემის გრძნობის განსაკუთრებული გამოხატვა. ახალმორწმუნეთა უმრავლესობამ ეკლესია ეროვნული კულტურის ინსტიტუტიად აღიქვა. პატრიარქი ეფრემ მეორე, რომელიც საქ-ს ეკლესიას სათავეში 1960-დან 1972 წლამდე ედგა, თავის ქადაგებებში ქართველ პატრიოტიზმისაკენ მოუწოდებდა. ეკლესიის პოპულიარობის ზრდამ საბჭოთა ხელისუფალნი შეაშინენ და მათ ეკლესიაზე მკაცრი ქონტროლი დააწესეს, რის შემდეგაც, ქადაგებანი ეკლესიებში ფრთხილი და უფერული გახდნენ.

1972 წელს საქ. პატრიარქი ეფრემ მეორე გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე გახდა დავით მეხუთე, რომელიც ხალხში ძალზე არაპოპულარული იყო იმის გამო, რომ იგი თავის ქადაგებებში განუწყვეტლივ ადიდებდა კომუნიზმსა და საბჭოთა ხელისუფლებას.

მიუხედავად ხელისუფლების მკაცრი დაწოლისა, პატრიარქიული და ანტირუსული განწყობა დღესაც კარგ ტონად ითვლება საქართველოს საზოგადოების ყველა ფერის მიერთებენ, ვინც სინამდვილეში მოსკოვის მონა-მორჩილი არიან. ედუარდ შევარდნაძე-საქ. კომ. პარტიის ახლანდელი პირველი მდივანი, მას შემდეგ, რაც მან ხელში ჩაიგდო ეს პოსტი, ცდილობდა შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, ვითომც მის მიერ მოსკოვის ბრძანების განუხრელი შესრულება ნიღაბს წარმოადგენდა, რათა უფრო „ერთგულად ემსახურა“ საქართველოსათვის.

ქართველი ინტელიგენციის მთავარ პატრიარქიულ საზრუნავს წარმოადგენს ქართული კულტურის შენარჩუნება. ხალხის მთელი ძალონე მიმართულია საქართველოს ისტორიის დამახინავებასთან ბრძოლისაკენ, რომლის ოფიციალურ ვერსიაში არა-ფერია ნათქვამი ქართველთა მისწრაფების შესახებ დამოუკიდებლობისადმი, ისტორიის ყველა პერიოდში, აგრეთვე ანტიკომუნისტური ტენდენციების შესახებ უახლოეს ისტორიაში.

ცენზურის ჩარჩოებში ზოგჯერ ხერხდება ისეთი წიგნებისა და სტატიების გამოცემა, რომლებიც მოწმობენ საქ-ს ყოფილ სიძლიერეზე, მისი უნიკალური კულტურის სიძველესა და ქართველთა დამოუკიდებელ ხასიათზე. ეს წიგნები და სტატიები ხალხში ყველთვის დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ამავე დროს რუსული ენისა და ადათ-წესების თავზე მოხვევა ძალზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა მსოფლმხედველობაზე, ზნეობაზე და მორალზე. სამოცდაათიან წლებში რუსიფიკატორული ტენდენცია გაძლიერდა. სასკოლო პროგრამებში გაიზარდა რუსული ენის შესასწავლად საათების რაოდენობა, მშობლიური ენის შესწავლისათვის განკუთვნილი, საათების ხარჯზე. ნელნელად დანარჩენი საგნების სწავლება ქართულიდან რუსულზე გადადის. სულ უფრო ფართოდ ინერგება რუსული ენა უმაღლეს სასწავლებლებში, სამუ-

ცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ამ პერიოდში ექართვული ენის დასაცავად ფელაზე ცნობილ გამოსვლებს შეტრანსლირება დგენერაცია წარდაპირების სიტყვა, მწერალთა შეხვედრის დროს ს.კ.პ.ც.პ. პირველ მდიგან ედ. შევარდნაძესთან და იმავე შევარდნაძის სახელზე გაგზავნილი, მწერალ რევაზ ჯაფარიძის წერილი.

ქართული ენისაღმი სიყვარულმა განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1978 წლის გაზაფხულზე თბილისში სწორედ რუსული ენის თავზე ძალისმიერი მოხვევის გამო. პროტესტის განმცხადებელთა ძირითად მასას ისევ და ისევ სტუდენტები წარმოადგენდნენ. ამ გამოსვლათა უშუალო მიზეზი იყო წინადაღება საქ-ს ახალი კონსტიტუციის პროექტის 75 მუხლის შეცვლა, რომელიც ზღუდავდა ქართულ ენას და უპირატესობას რუსულ ენას აღლევდა. 1978 წ. 24 მარტს გამოქვეყნდა საქ. ახალი კონსტიტუციის 75 მუხლის პროექტი. საქ. სსრ უმაღლესი დაბჭოს სესია დანიშნული იყო 14 აპრილისათვის, ხოლო მანამ კი გაიმართა პროექტის საყველოთაო განხილვა. გაზეთები გავსებული იყვნენ წინადაღებებით, ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად დარჩენის შესახებ. მრავალ ასეთ წინადაღებათა შორის იყო აგრეთვე მხცოვანი აკადემიკოს-ენათმოცდნის აკაკი შანიძის წინადაღება. თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყუს ხელმოწერების შეგროვება ამ წინადაღების მხარის დასაჭირად.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნამდე რამოდენიმე დღით დღე თბილისის უნივერსიტეტსა და სხვა აღვილებში გამოჩნდა პროკლამაციები, რომლებიც ხდეს 14 აპრილს დემონსტრაციისაკენ მოუწოდებლნენ, რათა ქართული ენა საქართველოს სახელმწიფოებრივ ენად დარჩენილიყო.

13 აპრილს საღამოს საქ. კ.პ.ც.პ. პირველი მდიგანი ე. შევარდნაძე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის დეკანთა წინაშე და მოუწოდა მათ, დაერწმუნებინათ ახალგაზრდობა იმაში, რომ ისინი არ გამოსულიყვნენ დემონსტრაციაზე. მან შეახსენა 1956 წელს თბილისში დემონსტრაციის დახვრეტის შესახებ.

—გაუფრთხილდით ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს ოქროს ფონდს—თქვა მან.

ცნობილი გახდა, რომ შინაგან საქმეთა ჯარების მერვე პოლკი

მოფეანილი იყო საომარ მზადფიფაში და მიუხედავად აქტუალური დემონსტრატები მაინც შეიკრიბნენ უნივერსიტეტის შემსრულებელების წინ და ქართველის ცენტრალური ქუჩების გაცლით მთავრობის სახლთან მივიღნენ. მათ მოჰქონდათ ლოზუნგები, რომლებზეც „მშობლიური ენა“ ეწერა, ისინი ქართული ენისადმი მიძღვნილ ქართველ კლასიკოსთა ლექსებს კითხულობდნენ.

დემონსტრაციის მსვლელობის მთელ გზაზე, ერთმანეთისგან ათი მეტრის დაშორებით, ჯარისკაცები და მილიციონერები იდგნენ. თბილისში მილიციონერთა უმრავლესობა ოსები არიან, მაგრამ ამ დღეს, დემონსტრატებსა და მილიციის მუშავებს შორის ეროვნულ ნიადაგზე უსიამოვნებების თავიდან აცილების მიზნით, ოსი მილიციონერები შეცემლილი იქნენ ქართველებით. ყველა მილიციონერი უიარაღოდ იყო.

მთავრობის სახლისაკენ მიმავალ გზაზე დემონსტრატებს რა-მოღენიმეჯავრ გადაუღობეს გზა მილიციონერებმა. დემონსტრატოა კოლონას წინ ახალგაზრდა ვაჟები მიუძღოდნენ, რომლებიც თავიანთი სხეულებით გლეჯდნენ შილიციონერთა დაბრკოლებებს. უკანასკნელი დაბრკოლება პურის გადასაზიდი მანქანებისაგან შესდგებოდა. დემონსტრატებმა ერთ-ერთი მანქანა ხელით გა-დაათრიეს და მთავრობის სახლისაკენ გაიჭრა დემონსტრატოა ყველაზე გაბედული ნაწილი: დაახლოებით ათი აასი კაცი. დანარჩენი დემონსტრატები კი შეჩერებული იქნენ მილიციის მიერ უნივერსიტეტან, მაგრამ ისინი არ დაშლილან.

მთავრობის სახლთან გაჭრილი დემონსტრატები გაჩერდნენ შენობის წინ. დემონსტრაციის ორგანიზატორები ვიღაცამ გა-აფრთხილა იმის შესახებ, რომ უიარაღო მილიციელთა რიგის უკან დამალული იყნენ ჯარისკაცები ტკუიამფრქვევებით, რო-მლებსაც ნაბრძანები პქნდათ ცეცხლის გახსნა იმ შემთხვევაში, თუ დემონსტრატები დაპირებდნენ მთავრობის სახლში შესვლას, სადაც საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის სხდო-მა მიმდინარეობდა.

დემონსტრატოა თავებზე უეცრად უცნაური სახის ლოზუნგები აღიმართნენ: სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტების დახიერ თავიანთი თეთრი ხალათები და პომალით დააწერეს მოთხოვნა, ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენად შენარჩუნების შესახებ. იგივეს გაიძახოდა ათასობით ხმა.

მთავრობის სახლიდან გადმოიცა დაბეჭდილი ფურცლები, კონსტიტუციის 75 მუხლის კომპრომისული ტექსტით, რომელიც

ქართული ენის რესპუბლიკურ ენად დამტკიცებას ითვალისწიფრებს
ნებდა დემონსტრატებმა დაწვენ ეს ფურცელები დაუწერებაში გადასახოდნენ: სახელმწიფოებრივი!

ამის შემდეგ, უმაღლესი საბჭოს სესიის მიმღინარეობა გად-
მოცემული იქნა მთავრობის სახლის წინა მოედანზე. ე. შე-
ვარდნაძემ თავისი გამოსვლა დაიწყო იმით, რომ მთავრობამ სერიოზულად იმსჯელა 75 მუხლის ტექსტის შესახებ და „რჩე-
ვა სთხოვა მოსკოვს.“ ამ სიტყვებმა დემონსტრატოა დიდი
უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ ჩეპროდუქტორებმა გა-
დმოცეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო სე-
სიამ გადაწყვიტა კონსტიტუციის 75 მუხლის ცვლილებების
გარეშე დატოვებათ— ამ ცნობას მთავრობის სახლის წინ მდ-
გომი დემონსტრატები საერთო სისარულითა და აღტაცებით
შეხვდნენ, ხოლ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დე-
ლეგატები 15 წუთიანი ოვაციით.

14 აპრილს, დაახლოებით დღის 3 საათზე, უნივერსიტეტის შენობასთან მდგომ დემონსტრატებთან მილიციის მანქანა მი-
ვიდა და ამ მანქანიდან ვიღაცამ მეგაფონში ჩაყირა: „თქვენი წინადაღება მიღებულია, ახლა ამის შესახებ ტელევიზით გა-
მოაცხადებენ!“ შემდეგ ასეთივე ცნობით გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი, მან სთხოვა დემონსტრატებს დაშლილიყვ-
ნენ, მაგრამ ისინი ადგილიდან არ იძროდნენ. მაშინ მინისტ-
რმა შესახა: „ერთხელ მაინც დაიჯერეთ!“

ბოლოს, სხდომაზე სიტყვით ე. შევარდნაძე გამოვიდა. მან წაიკითხა კონსტიტუციის 75 მუხლის დამტკიცებული ტექსტი, რომელიც ასე იწყოდა: „საქართველოს სსრ სახელმწიფოებ-
რივი ენა ქართული ენაა“ და შემდეგ მას დანარჩენი ტექსტი მოჰყებოდა. ამის შემდეგ დემონსტრატებმა დაშლა დაიწყს.

უნდა ითქვას, რომ ეს დემონსტრაცია არ იყო სტიქიური. იგი მომზადებული იყო პროკლამაციების გავრცელების გზით, რომელშიც გათვალისწინებული იყო შეგრების დრო და ადგი-
ლი, დემონსტრაციის მიმართულების გზა და მისი ლოზუნგები. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციის ინიციატორები ჩამოყალი-
ბებულ ჯუფს არ წარმოადგენდნენ. დემონსტრაცია მომზადე-
ბული იქნა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა მეგობრული წრის მიერ, მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინდა უნივე-
რსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი

თამრიყო ჩხეიძე, ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორმანერთან
სტუდია „საქართველოს ფილმის“ დირექტორის რეგიზირების
ქალიშვილი.

დემონსტრაციის წინ, რეგაზ ჩხეიძეს საქ. უშიშროების
სახელმწიფო კომიტეტში (კგბ) განუცხადებია: „უშველეთ ჩემს
ქალიშვილს, იღუპებაო“, რის შემდეგ თამრიყოს ბინა გაჩხრე-
კილი იქნა და ჩამოერთვა ჯველა დარჩენილი პროკლამაცია,
რომლებიც დემონსტრაციისაკენ მოუწოდებდნენ.

მიუხედავად ამისა, არც თამრიყო ჩხეიძე და არც დემონს-
ტრანტოა სხვა წევრები პასუხისმგებაში არ მიუციათ და არც
უნივერსიტეტიდან არ გაურიცხავთ. როგორც ჩანს მათ საყ-
ველთაო მხარდაჭერამ უშველათ. დასაშვებია, აგრეთვე, რომ
მათ მშობლების „ნომენკლატურულმა“ მდგომარეობამ უშველათ.

ერთადერთი ვინც დაპატიმრებული იქნა 14 აპრილის დემო-
ნსტრაციასთან დაკავშირებით, ეს იყო კინოპერატორი ავთან-
დილ იმნაძე, რომელიც ამ დღის მოვლენებს იღებდა.

ამ პერიოდში საქართველოში არსებობდა საზოგადოებრივი
ასოციაციები: 1974 წლიდან საქ-ში აღმიანის უფლებათა
დაცვის საინციატივო ჯგუფი და 1977 წლიდან საქ-ს ჰელსი-
ნის ჯგუფი, რომლებიც სტუდენტურ მოძრაობასთან უშუალო
კავშირში არ იმყოფებოდნენ. ისინი უშროლოდ ერთმოაზროვ-
ნეთა პატარა ჯგუფებს წამოადგენდნენ.

საინციატივო ჯგუფი შესდგებობდა რამდენიმე ინტელიგენტ-
ჰუმანიტარისაგან. ესენი იყვნენ ლიტერატურამცოდნე ზეიად
გამსახურდია, მუსიკამცოდნე მერაბ კოსტავა და საეკლესიო
გუნდის წევრი ვალენტინა ფაილოძე. აღბათ იყვნენ კიდევ სხვა
წევრებიც, მაგრამ ამ ჯგუფის შემადგენლობის მთლიანი სია
ცნობილი არ არის.

საქ. საინციატივო ჯგუფში წამყან როლს თამაშობდა, საქ.
მწერალთა კავშირის წევრი, ქართ. ლიტერატურის „ცოცხალი
კლასიკოსის“ კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟიშვილი-ზეიადი.
კ. გამსახურდია ოციან წლებში გადასახლებაში იმყოფებოდა,
შემდგომ კი საბჭ. ხელისუფალთა მიერ გუველმხრივ იქნა რე-
აბილიტირებული და მოფერებული და საქ. პარტიულ-სახელმწი-
ფოებრივ ხელმძღვანელობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლო-
ბდა. მამის ასეთი დიდი ავტორიტეტი ზ. გამსახურდიას საშუ-

ალებას აძლევდა ყაველგვარი დატრკოლების გარეშე ჭრნტაშ-ტში შესულიყო საქ-ს ხელმძღვანელ მუშაკებთან. პირველი მარტი გამსახურდიდა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართული მარტი თლმაღლიდებელი ეპლესისაკენ ახალშემობრუნებულთა შორის. 1965 წლიდან იგი შედეგიან მოღვაწეობას ეწეოდა საეკლესიო ცხოვრებაში, გახდა თბილისის სიონის ტაძრის საეკლესიო საბჭოს წევრი. 1974 წლიდან მან კავშირი დამყარა ადამიანის უფლებათა მოსკოველ დამცველებთან, რის შემდეგ ინფორმაცია საქ-ს შესახებ სისტემატიურად შვეიცავდობა „მიმდინარე მოვლენათა ქრისტიანული“-ში, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. იგი ფრთხია საქ-ში ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილი თვითგამოცემის უმეტესი დოკუმენტისა, რომელიც შემდეგ ცნობილი გახდა, როგორც მოსკოვში, ისე დასავლებში.

საქ-ს პატრიარქ ეფრემ მეორის გარდაცვალების შემდეგ ზ. გამსახურდია უფრო მჭიდროდ ჩაეფლო საპატრიარქოს ცხოვრებაში. საეკლესიო წრეებში დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ეფრემ მეორის მემკვიდრემ დავით მეხუთემ პატრიარქობა უკანონოდ მიიღო, რომელმაც განსვენებულ პატრიარქის ეფრემ მეორის ანდერძი გაანალგურა, რომლის თანახმად პატრიარქის ადგილი მიტრობოლიტ ილია შიოლაშვილს უნდა დაკავებინა. დადიოდა ხმები აგრეთვე იმის შესახებაც, რომ დავით მეხუთეს პატრიარქის თანამდებობის ხელში ჩასავდებად ნახევარი მილიონი მანეთის ქრთამი მიუცია საქ. კ.პ.ც.კ.ის მაშინდელი პირველი მდივნის ვასილ მუავანაძის შეუდლისათვის და, რომ იგი თავის ხელფასს დიდი ხნის მანძილზე საქ-ს სსრ მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულს უწაფლა. ეს მთლიანად შეესაბამება საქ-ს საერთო ვითარებას, საღაც კორუპცია საზოგადოების ჭალა ფენებშია გაგრცელებული.

სწორედ 1972 წელს, სულ მალე ეფრემ მეორის გრძაცვალებისა და დავით მეხუთის პატრიარქიდ დანიშვნის შემდეგ, ვასილ მუავანაძე მოხსნილი იქნა თანამდებობიდან უდიდესი მასშტაბის მექრთამეობისათვის, რასაც მისი მოსკოველი პატრიონები მანამდე ითმენდნენ. მის ადგილზე მოსულმა ედ. შევარდნაძემ ბრძოლა გამოუტადა კორუპციას, იატაქევეშა მარნომიკასა და უკანონო შემოსავლების სხვა სახეობებს.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილდღეზე უკა-
მელიც წაგითხული იქნა პარტიულ კრებებზე და, კომიტეტის
თვითგამოცემებში მოხვდნენ, ირკვევა, რომ 1972 - 74 წლებში
ამ ბრძოლის მიმდინარეობისას საქ-ში დაპატიმრებული იქნა
25 ათასი კაცი, მათ შორის 9,5 ათასი კომპარტიის წევრი,
7 ათასამდე კომედიურებული და 70 მილიციისა და სახ. უშიშ-
როების ორგანოთა მუშაკი.

ამ ბრძოლით ე. შევარდნაძეს სურდა დაემტკიცებია, რომ
მექრთამეობა, კორუპცია და სხვა დანაშაულებრივი მოვლე-
ბი არაა საბჭოთა სისტემის ბრალი, არამედ ცალკეული პირო-
ვნებების, ამ შემთხვევაში კი-ვასილ მუავანაძისა. მაგრამ,
როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, კორუპცია საბჭოთა საზოგა-
დოების ფელა ფენებში, მათ შორის საქართველოში, სულ უფ-
რო ფართო მასშტაბს იღებს, ვინაიდან იგი საბჭოთა საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკური წყაბილების განუყოფელ ნაწილს წარმო-
ადგენს.

ამიტომ იყო, რომ თავისი პირადი პოზიციების გამაგრების
შემდეგ ე. შევარდნაძემ შეწყიტა ეს ბრძოლა და ახლა ეპი-
ზოდურად თუ გამოქვეყნდება ხლომე საქ-ს ინფორმაციების
საშუალებებში ამა თუ იმ დანაშაულობრივი მოვლენის დაგ-
მობის შესახებ, რითაც საქ-ს კომუნისტური ხელმძღვანელო-
ბა ცდილობს თვლი აუცილოს ხალხს, ვითომდა იგი პატიოსნე-
ბის სადარაჯოზე დგას.

სწორედ შევარდნაძისეული ამ მასიური დატიმრებების
წინ გაიძარცვა პატრიარქია. დაიკარგა ძალზე ძვირფასი ნი-
კვთები, მათ შორის უძველესი, რომლებსაც უაღრესად დიდი
მხატვრული და ისტორიული ფასი ჰქონდათ. დარაჯი და რამ-
დენიმე მოწამე ამ გაძარცვაში ბრალს სდებდნენ პატრიარქი-
ის მდივანს-ბიძინა კერატიშვილს (ეპისკოპოსი გაიოზი). მათი
განცხადებით პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომელმაც
დაადასტურა მოწმეთა ჩვენებები, მაგრამ მიუხედავად დავით-
ქორიძის (გამომძიებელი) მცდელობისა, ეს საქმე ჩაჩქმალული
იქნა.

მოგვიანებით დ. ქორიძის მოხსენებითი ბარათი გაგრცელდა
თბილისში, ხოლო შემდეგ იგი „მიმდინარე მოვლენათა ქორი-
კაში“ და საზღვარგარეთ მოხვდა, სადაც გმოქვეყნენ შე-

საბამისი პუბლიკაციები, ჯერ პარიზის ქართულ უფრნაშადი „თავისუფლების ტრიბუნაში“ (№6 - 1974 წ.), მერუბაში კომიტეტშის სის პრესაში (ლონდონის „ტაიმსი“ და „რელიგიის კომუნისტურ ქვეჭებში“ - 1975 წ.). საქ-ს პატრიარქიაში არსებული ვითა-რების შესახებ საბჭოთა კავშირში გადასცეს დასავლეთის რაღოცხადგურებმაც.

1974 წ. მარტში დაპატიმრებული იქნა საეკლესიო გუნდის წევრი ვალენტინა ფაილოძე, რომელიც ეგლესიის მძარცველთა მხილებაში მონაწილეობდა. მას „საბჭოთა ხელისუფლებისადმი ცილისწამების და მუქარის“ ბრალდება წაუქნეს, რომ იგი საქ-ს სხვადასხვა ოფიციალურ ინსტანციებში მამხილებელ უსახლო წერილებს აგზავნიდა. ვ. ფაილოძე უარყოფდა მის კაგშირს ამ წერილებთან და ამტკიცებდა, რომ მისი დაპატიმრება ნიშნავდა საქ-ს უმაღლეს სასულიერო წარმომადგენელთა მიერ მასთან ანგარიშსწორებას, როგორც პატრიარქის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ერთ-ერთ მოწმესთან. იმავე წლის 24 ივნისს ვ. ფაილოძეს წელისწადნახევრის პატიმრობა მიესაჯა საერთო ჩეუიმის ბანაკში.

სასამართლოს წინ ქართველ ინტელიგენტთა ჯგუფი შეიკრიბა, მათ შორის ცნობილი პიროვნებებიც. საინტერესოა, რომ პატრიარქის გაძარცვის საქმეს ფართო საზოგადოებრივი გამოხმაურება არ გამოუწვევია. ეს პრობლემები ინტერესებდათ მხოლოდ პატრიარქიასთან ახლო კონტაქტში მყოფ პირებს. იგივეს თქმა შეიძლება საქ-ში ისტორიული ძეგლების დაწრებების პროცესში, რაზედაც ზ. გამსახურდიას მიერ ხელმოწერილი თვითგამოცემის რამდენიმე ღოკუმენტი არსებობს.

1975 წლს ზ. გამსახურდიამ თვითგამოცემაში გამოაქვეყნა. სასამართლო პროცესების ანგარიში და საქ-ს ციხეებში წინასწარი გამოძიების საკუნძული დაპატიმრებულთა წევრების მამხილებელი ფაქტები. ჯერ კიდევ 1974 წელში ცნობილი გახდა ქრთამების აღების ბრალდებით დაპატიმრებულ კარლო წულაძის განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ წამება საქართველოს ციხეებში სინამდვილეს წარმოადგენს. ეს დადასტურდა აგრეთვა ცირკიდისა და უსუფიანის იმ მასალებიდან, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ მათ ცემით



მოკლეს პატიმრობაში მყოფი ვინმე ისმაილოვი. აღნიშნულ მწ-
სალებს მოსამართლის ნებართვით გასცნობია ზ. გჭმს თხურდები.
ცირებიძე და უსუფიანი მრავალჯერ ყოფილან. ჰატიმრობაში
სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის გამო.
მათ წლობით ამყაფებლენ თბილისის საგამომძიებლო იზოლა-
ტორებში, რათა გამომძიებლებს ისინი სხვა პატიმართა და
კითხვების დროს გამოეყენებინათ. პატიმართა ცემისა და
წამებისათვის მათ არყოთ და ნარკოტიკებით ასახულებდნენ.
თბილისის ციხის №2 კორპუსში სპეციალური 10 საკანი არ-
სებობდა, სადაც სვამდნენ აგენტებს მათ მსხვერპლთან ერ-
თად. ამ საკითხთან დაკავშირებით, სკანდალური მხილების
გამო პასუხისმგებაში იქნენ მიცემული თბილისის ციხის უფ-
როსი და რამოღვნიმე თანამშრომელი. სასამართლო ყველმხ-
რივ ცდილობდა ჩაეჩქმალა ბოროტმოქმედებათა მასშტაბები
და მაგალითისათვის მხოლოდ ცემის 3-4 ფაქტი მოიყვანა,
მიუხედავად ცირებიძის მტკიცებისა, რომ მას ცემით 200-
ზე მეტი საქმე ჰქონია გახსნილი.

დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქ-ს კულტურის სამინის-
ტროს თანამშრომლის ვიქტორ რცხილაძის მოღვაწეობამ, რომ-
ელიც მესხთა პრობლემებით იყო დაკავებული. სამხრეთ საქ-ში მცხოვრები ქართველი ხლხის ერთ-ერთი წა-
წარმომადგენები-მესხები, რომლებმაც თურქთა ბატონობის
დროს მაკმალიანობა მიიღეს, 1944 წლს გადასახლებული იყ-
ვნენ სტალინის მიერ. 1950-ანი წლებიდან მესხებმა აქტიური
მოძრაობა დაიწყნ სამშობლოში დაბრუნების მიზნით.

1976. წლის ივნისში ვ. რცხილაძე ყაბარდო-ბალყარეთში
იმყოფებოდა, სადაც თავი მოეყრა მესხთა ერთ ნაწილს. ვ.
რცხილაძე სიტყვით გამოვიდა მესხების მიერ მოწყაბილ მი-
ტინგზე და ქართველი ინტელიგენციის სახელით დაპირდა მათ
დახმარების აღმოჩენაში.

ვ. რცხილაძემ დაწერა სტატია „მესხთა ორაგედია“, რომე-
ლიც გავრცელებული იქნა თვითგამორცემაში. მისი ინიციატი-
ვით მესხებმა ხელი მოაწერეს მიმართვას, რომელშიც მოითხო-
ვდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ეს მიმართვა გადაცემული
იქნა მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფისადმი და ამის შედეგად

გამოვიდა ამ ჯგუფის დოკუმენტი №18 მესხთა შესახმბული
1977 წ. იანვარში შეიქმნა საქ-ს პელსინკის ჯგუფის მიერ და მის გამოცემა გარდა ზ. გამსახურდიასი, მერაბ კოსტავასი და ვ. რცხილაძისა შევიღნენ კიდევ რამდენიმე სხვებიც,
 მათ შორის თბილისელი ებრაელი ძმები: ისაია და გრიგოლ გოლშტეინები. ამ ჯგუფმა მოასწრო მხოლოდ ერთი დოკუმენტის გამოცემა: „ვ. რცხილაძის პროტესტი სამუშაოდან დათხოვნის წინააღმდეგ, მის მიერ მესხებისადმი დახმარების აღმოჩენის გამო.“

ამ პერიოდში საქ-ს არაოფიციალურ აზრს გამოხატავდა აგრეთვე ქართული თვითგამოცემა. თგ. ის პირველი დოკუმენტი, რომელიც საქართველოში იქნა გავრცელებული, იყო გამომძიებელ დავით ქორიძის მოხსენებითი ბარათი საქ-ს საპატრიარქოს გაძარცვის შესახებ, რომელიც დათარიღებული იყო 1973 წლის 19 მარტით.

1975 წელს თბილისში დაიწყო თვითგამოცემის ქართული ლიტერატურულ-პუბლიცისტური უურნალის „ოქროს საწმინდის“ გამოცემა, რომლის რედაქტორი ზ. გამსახურდია იყო. უურნალი ათავსებდა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებიც იდეოლოგიური თვალსაზრისით აკრიტიკული იყო ცენზურის მიერ. პუბლიცისტური ნაწილის მთავარ თემას ქართული კულტურის, პირველ რიგში კი-ქართული ენის შევიწროების ადმი მიძღვნილ მასალათა გამოქვეყნება წარმოადგენდა.

„ოქროს საწმინდის“ ოთხ გამოცემაში გამოქვეყნაბული იქნა ქართველ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა და სხვათა სტატიები, ქართული ეროვნული კულტურის სიმდიდრისა და მისი ამჟამინდელი უაღრესად საგალალო მდგომარეობის შესახებ, რის შენარჩუნებასა და განვითარებას ასეთ დიდ წინააღმდეგობას უწევს საბჭოთა ხელისუფლება.

1976. წლიდან საქ-ში დაიწყო თვითგამოცემის კიდევ ერთი ქართული უურნალის მოღვაწეობა, რომელსაც „საქართველოს მთამბე“-ს სახელი ჰქონდა. მისი რედაქტორები იყნენ: ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა. უურნალის მიზანს ეროვნული და სოციალური საჭირობო პრობლემებისა და საბჭოთა კავშირში საერთო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება წარმოადგენდა. „საქ. მოამბეში“ საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ გამოქვეყნებულ მასალათა შო-

რის გამოირჩეოდა ცნობა 1975 - 76 წლებში გახშირებული აფეთქებებისა და ხანძრების შესახებ. ამ აფეთქებებიდან სამს: სოხუმში პარტიის საოლქო კომიტეტის შენობის წინ, ქუთაისში ქალაქის ბაღში და თბილისში მთავრობის სახლის წინ პოლიტიკური ხასიათი პქონდათ. ეს აფეთქებანი მომზადებული იყო არა ორგანიზაციის, არამედ ვინმე ვლადიმერ ჭვანიას მიერ, რომელიც სულ მაღე-1977 წ. იანვარში გამართული სასამართლოს შემდეგ დაიხვრიტა.

ამავე წლის 7 აპრილს დაპატიმრეს ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, ცოტი მოგვიანებით—ვ. რცხილაძე და გრ. გოლ-შტეინი. ამ დაპატიმრებებმა დიდი აუკიოტაური გამოიწვია პრე-საში, რომელიც ყაველმხრივ ცდილობდა დაპატიმრებულთა და მათ მხარდამჭერთა სახელის გატეხას. ი. წ. მაისში თბილი-სის უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააკრეს პროცედაციები, რომელიც დაპატიმრებულთა დასაცავად მოუწოდებდნენ. 1978 წ. გაზაფხულზე თბილისში მოწყაბილ დემონსტრაციის დროს გაისმოდა წამოძახილები: „თავისუფლება გამსახურდიას!“ ი. წ. ზაფხულში გაიმართა საქ-ს ჰელ-სინკის ჯგუფის წევრთა სასამართლო. როგორც ზ. გამსახურდიამ ისე ვ. რცხილაძემ თავისი მოღვაწეობა შეცდომად აღიარეს, რამაც მნიშვნელოვნად დასცა დაბლა მათი პოპული-არობა ქართველ ხალხში.

შედეგად მათვეს მკაცრი განაჩენი არ გამოუტანიათ. ისინი ორ-ორი წლით გადაასახლეს, მ. შ. ზ. გამსახურდია ჩრ-დილოეთ კუყკასიაში. იგი 1979 წლის ზაფხულში თბილისში დაბრუნდა და მეცნიერების აკადემიის შ. რუსთაველის სახე-ლობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი მუშაკის აღვილი მიიღო. ზ. გამსახურდიამ განთავისუფლების შემდეგ 1979 წ. 25 ივლისს მიმართა გაზეთ „პრავ-დას“ წერილით, რომელში ნათქვამი იყო: „თქვენი სტატიიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მე თითქოს ხაზი გადა-გუსვი ჩემს წარსულ მოღვაწეობას, იმ დროს, როცა მე მხო-ლოდ შეცდომები ვაღიარე. რაც შეეხება ჩემს ძირითად, პატრიოტულ და პუმანისტურ მოღვაწეობას, ამაში დამნაშავედ არ ვცნობ თავს. მე შეცდომად ვაღიარე მხოლოდ ემიგრაცი-

ული და თვითგმოცემის მასალების გამრავლება და გრეტრუტება. გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ზემოაღნიშნული თუ შემდგომში ჩემს შესახებ დაპირებთ რაიმე მასალის გამო-ქვეწებას. გთხოვთ აგრეთვე გამოაქვეჭოთ ეს წერილიო.“

იმავე წლის 7 სექტემბერს გაზეთმა „პრავდა“-მ მას უპა-სუხა: „სამწუხაროდ თქვენი წერილის გამოქვეჭების შესაძლ-ებლობა არ არსებობს. თქვენ საქმესთან დაკავშირებული მა-სალების გამოცემა ასევე არ არის დაგეგმილი“-ო.

მიუხედავად ძალზე სასარგებლო გაწეული მოღვაწეობისა, ვერც „საქ-ს ჰელსინკის ჯგუფმა“ და ვერც „საინციარივო ჯგუფმა თავისი „ქარჩაგეტილობის“ გამო ვერ მონახეს ფართო საზოგადოების მხარდაჭერა. სწორედ ამან განაპირობა ისიც, რომ სასამართლოზე ზეიად გზისახურდიამ და ვიქტორ რცხი-ლაძემ სისუსტე გამოიჩინეს. რამაც ასეთი გზით ბრძოლის მიზიდვების შეასუსტა. .

ამავე დროს, 1980. წელს პოლიციის მიერ გახსნილი იქნა იატაგქევეშა ქართული ასლციაცია, რაც უკანასკნელი 15 წლ-ის მანძილზე ერთადერთი შემთხვევა იყო. ამ წლის 29 სე-ქტემბერს საქ-ს უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარსგა 3 ქართველი ახალგაზრდა რუსთავიდან. ესენი იჯნენ: ზურაბ გო-გია, 1946. წელს დაბადებული, გარდაპნის რაიონული გაზე-თის წერილების განყოფილების გამგე, ვაჟა ულენტი, 1938. წელს დაბადებული, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საზო-გადოება „ორდნა“-ს ინსტრუქტორი და ვახტანგ ჩიტავა, და-ბადებული 1939 წელს, ქ. რუსთავის №16. პროფესიონალი სასწავლებლის დირექტორის მოადგილე. .

მათ ბრალად ედებოდათ პროკლამაციების გავრცელება, რომ-ლებშიც ხალხს მოუწოდებდნენ საქარ-ს განთავისუფლებისა-კენ. ეს პროკლამაციები მათ მიერ გავრცელებული იქნა რუ-სთავში, თბილისში, გორში და საქ-ს სხვა ქალაქებში. .

(გაგრძელება და დასასრული შემდეგ ნომერში)

გ უ რ ა მ 8 ე ლ ო ვ ა ნ ი

ნიუ-იორკი, 26. 12. 1984.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი დ ა „ ს ა ს უ რ ს ა თ ი ს ა მ ა რ ი ც ე ბ ა მ ა ბ ა ”

ს ა მ ა რ ი ც ე ბ ა მ ა ბ ა

მთელი საბჭოთა კავშირის და მათ შორის საქართველოს მოსახლეობის საერთოდ ყაველთვის განიცდიდა და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში განიცდის სურსათის დიდ ნაკლებობას. ამ დიდი პრობლემის ზოგიერთ საკითხს მინდა შევეხო ამ წერილში.

საქ-ში საბჭოთა რეუიმის დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობის მანკიერი მართვის შედეგად, ეს დარგი ყაველწლიურად გაპარტახებისაკენ მიდის და დღეს იგი კატასტროფიული სიძნელეების წინაშე დგას.

ვინც კი მეტ-ნაკლებად გარდვეულია საბჭოური საქ-ს სოფლის მეურნეობის გაძლოლის სტრუქტურაში, დამეთანხმება, რომ, დაწყებული რეუიმის პირველი წლებიდან დღემდე, პარტიულმა ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ მოძებნა სოფლის მეურნეობის გაძლოლის გონივრული მეთოდები, ვინაიდან კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ყაველთვის ეწინააღმდეგება სოფლის მეურნის ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოთხოვნილებას—. მატერიალურ დაინტერესებას. საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში სოფლის მეურნეობის გაპარტახების მთავარ მიზეზს სწორედ ეს წარმოადგენს. უმნიშვნელო წამოწყვბაც კი, რომელიც მიმართულია სოფლად მომუშავეთა მატერიალური დაინტერესებისაკენ და საჭიროებს მხარდაჭერას, მგაცრად იხშობა პარტიული ხელმძღვანელების მიერ, ვინაიდან შათ იციან, რომ ყაველი ასეთი წამოწყვბის ცხოვრებაში გატარება ხალხს მისცემს ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სიძლიერის საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური სახელმწიფოს არს. მათ იციან, რომ ეკონომიკურად ძლიერ ხალხზე ყლბი კომუნისტური პროპაგანდის ზეგავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდება. .

ხალხი დიდი ხანია დარწმუნდა: ყაველი ღონისძიება, რომელსაც ატარებს კომუნისტური პარტია საერთოდ და კერძოდ სოფლის მეურნეობაში, მიმართულია არა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა, არამედ რეგრესიული ანტიხალხური

საქართველო და „სასურსათო პროგრამა“

23



კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებისაკენ..

როდესაც საკითხი ეხება მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების ზრდას, საბჭოთა ხელისუფალნი ჯელა საშუალებას მიმართავენ, რათა მოსახლეობას არ მისცენ ეკონომიკურად წელში გაშლის საშუალება. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს: მაგალითად, უკინასენელ ხანს საქ-ში მეფისინგველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის მიზნით, მოსახლეობას საშუალება მიეცა სახელმწიფო შეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე კომპერირების წესით გამოეზარდა სხვადასხვა სახისა და რაოდენობის ფრინველი, იმ ვარაუდით, რომ გამოზრდილი ფრინველის დატლოებით ოცდაათი პროცენტი მას დარჩენდა თავის შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად. როდესაც მოსახლეობა დარწმუნდა ამ მეთოდის შემოსავლიანობაში, სურვილი განაცხადა გამოსაზრდელი ფრინველის რაოდენობის გაზრდაზე, მაგრამ საქ-ს ხელმძღვანელობა შეშინდა, რომ ხალხი არ გამდიდრებულიყო და მნიშვნელოვნად შეზღუდა მოსახლეობაზე გასაცემი ფრინველის რაოდენობა, რითაც ხალხს ყოველგვარი ინტერესი დაუკარგა ამ საქმისადმი. .

საქ-დან საბჭოთა კავშირის სხვა მხარეებში სოფლის მოსახლეობის მიერ, საკუთარ საკარმილამო ნაკვეთებზე მოყანილი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანის აკრძალვა, ხალხის სტარტლიან უქმაყოფილებას იწვევს. საქ-ს მთავრობის მიერ ასეთი ღონისძიების გატარება ძალას უკარგავს სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ სიძლიერეს და უბიძგებს მათ კორუპციისაკენ. ასეთი მაგალითები დღევანდელი საქ-ს სინამდვილეში მრავალია. .

რამდენად საწყინია, რომ საქ-ში, სადაც ძალზე ხელსაყრელი პირობები არსებობენ სოფლის მეურნეობის ჯელა დარგების განვითარებისათვის, კომუნისტური ხელმძღვანელობის უხერხებლო, ბიუროკრატიული, საქმისადმი არა სწორი მიღებომის გამო, მოსახლეობა შიმშილობს. .

როგორც ცნობილია, ხალხის სურსათით მომარაგების საქმეში მძიმე მდგრმარეობის შექმნის გამო, საბჭოთა ხელმძღვანელობამ მოსახლეობის დასაწყარებლად, ოთხმოციან წლების



დასაწყისში, წამოაყენა წინასწარ განწირული ეგრეთშოდებული ბული „სასურსათო პროგრამა.“ ჯერ კიდევ საკავშირო მიზანების ვრობის შექმნა ამ პროგრამის მიღებამდე, საქ-ს პატივის რაიონში გადავიდნენ სოფლად მომუშავეთა მატერიალური დაინტერესების უმნიშვნელო ზრდის მეთოდზე, რამაც თავდაპირველად გარკვეული დადებითი შედეგები გამოიწო, მაგრამ, როგორც კი მოსახლეობა დაინტერესდა თავისი შრომით, რაიონულმა ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტის მითითებით, დაიწყო გამომუშავების ნორმებისა და გეგმური დავალებების გაზრდა და აგრეთვე ორგანიზაციულ-ტექნიკური ლინისძიებების გატარება, რომლებიც ეწინა-აღმდებებიან მშრომელთა მატერიალურ დაინტერესებას. იმის მაგივრად, რომ სოფლის მუშა დააინტერესონ მატერი-ალურად, პარტიული ხელმძღვანელები ცდილობენ ამუშაონ ის სხვადასხვა ბიუროკრატიული, ფორმალისტური არაფრის მიმ-ცემი მეთოდებით, ძალის გამოყენებით, ყალბი აგიტაციითა და პროპაგანდით.

მიუხედავათ იმისა, რომ ე. ჭ. „აბაშის ექსპერიმენტმა“ ფაქტიურად არავითარი შედეგები არ გამოიწო, ამ რაიონის მა-გალითზე საქ-ს ყველა რაიონში შეიქმნა აგრო-სამრეწველო გაერთიანებები, რომლებიც ახლა ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ რაიონში არსებულ, არა მარტო სასოფლო-სამეურნეო, არამედ აგრეთვე მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობასაც. აბაშის და საქართველოს მაგალითზე, უკვე სასურსათო პროგრამის ჩამორჩენილი, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იქმნება აგროსამრეწველო გაერთიანებები. საქართველოში ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელად, მორიგი რეორგანიზაციის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებულ „სოფლის მეურნეობის სახელმწიფო კო-მიტეტის“ თავმჯდომარედ დანიშნულია, კომპარტიის აბაშის რაიონის რაიკომის ყაფილი მდივანი გურამ მგელაძე, რომე-ლიც დიდი თავდადებით, ახლა უკვე მთელი საქ-ს მასშტაბით ეწევა გლობალურ თვალისახვევისა და ფორმალიზმს.

საქმისადმი სწორედ ასეთი ფორმალისტურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება ახასიათებთ ყველა პარტიულ-სამეურნეო ხელ-



მძღვანელებს, რომლებიც ამასთან ერთად ეწევიან მექანიზმები ამბასა და მომხვეჭელობას. გურამ მგელაძის მიერ პერი თვის სებების განსაკუთრებულმა გამოვლენამ განაპირობეს მისთვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება. ხელმძღვანელებმა ჩაატარეს დიდი თვალისამხვევი სახელმწიფო ორგანიზაციების, მიიღეს უმაღლესი ჯილდოები და მაღალი თანამდებობანი, ხოლო საქ-ს სასურსათო მაღაზიებში კვლავ სიცარიელეა. ასეთია სოციალისტური. სახელმწიფოს ბიუროგრატიული მოღვაწეობის სპეციალისტიკა..

საბჭოთა კავშირის სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულია, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების გარდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები აწარმოონ სამრეწველო და სხვა არა სასოფლო-სამეურნეო პროფილის ორგანიზაციებმაც, რის-თვისაც მათ დაეგალით დამხმარე მეურნეობების მოწყობა. პირდაპირ სასაცილოა, როდესაც სახელმწიფო ფიქრობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებას იმ წარმოება- დაწესებულებებისგან, რომელთა უმეტეს ხელმძღვანელებს ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვთ სოფლის მეურნეობაზე. ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფოს დამხმარე მეურნეობების მოსაწყიბად, საქართველოს პირობებში არ გააჩნია, არც მიწის გამოყოფის საშუალება და, არც საკვებისა-პირუტყის გამოსაკვებად. ამავე დროს, კოლმეურნეობების, საბჭო მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებსაც უშუალოდ ეკისრებათ ს. ს. პროდუქციის წარმოება, მთელ დღეებს ატარებენ ზემდგომ პარტიულ-სამეურნეო ორგანიზაციებში, ქრთამების მიცემით, მათ-თვის გამოყოფილი სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მისაღებად; მათ ძალით ასწრებენ ათასი სახის არაფრისმომცემ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, კონფერენციებზე, რის გამოც მათი მუშაობა მიღის თვითდინებით.

სოფლის მეურნეობის საფუძვლიანი რეფორმების მაგივრად, საბჭო. მთავრობამ 1983 წლის ზაფხულში მიიღო დადგენილება „სოფლის მეურნეობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის შე-

სახებ”, რაც ამ საქმისადმი ასოლუტურად მცდარ მოწყვეტილება მას წარმოადგენს. ასეთი მეთოდებით საბჭოთა ხელიღლებაზე ლობა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას ვერ მიაღწევს და ხალხი კი, როგორც ზოგველთვის, ისევ მოტუხებული დარჩება.

გურამ გელოვანი

***.

***.

25 თებერვლი დან 14 აპრილი მდე

14 თე აპრილი ჩვენი ერისა და ჩვენი დედაენის ლოცვის დღეა. კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, რომ 1982 წელში სამშობლოდან მივიღეთ მოწოდება, რომელშიც სიტყა-სიტყით ნათქვამი იყო: „მტრობა ენისა, არს მტრობა ქვეჭის...“— ილია. „ქართველი ერის მაღალი ეროვნული თვითშეგნების ბრწყნებულე დემონსტრაცია იყო 1978 წლის **14** აპრილის ქართული საზოგადოების მიერ ქართული ენის სახელმწიფო ბრივი სტატუსის დაცვა. გასულ წელს ჩვენმა ერმა **14** აპრილი საქართველოსათვის ლოცვის დღედ გამოაცხადა. მოგმართავთ ზოგველ ქართველს ამ დღეს ლოცვით მოიხსენიოთ სამშობლო ჩვენი, ერი ჩვენი და ენა ჩვენი. დაე, ამ დღეს თქვენს მიერ უფლისადმი საქართველოსათვის დანთებული სანთელი იყოს სიმბოლო ქართველი ერის უკვდავებისა აშ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“

1978 წლის **14** აპრილის მანიფესტაციების შესახებ ჩვენ აქ მკითხველებს აღარ შევაწყნოთ თავს, ჩვენი წინა გამოცემებიდან ის უკვე კარგად მოეხსენებათ და ამ ნომერშიც, ბ. გურამ გელოვანის „ეროვნული მოძრაობა საქართველოში“ მის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი. აქ კი ვიტყით მხოლოდ მაშინ ჩვენმა ხალხმა საერთოდ და განსაკუთრებით ჩვენმა ახალგაზრდობამ დიდი ერთგულება და თავდა-დებულება გამოამჟღავნა ჩვენი ქვეჭის მპჭობელების გასა-გონებლად და შესაგონებლად. ამ უკანასკნელებმა, ლეონიდ ბრეუნევის მეთაურობით, მაშინ ქართველი ხალხის მასიურ ამოელეტას მოერიდენ, მით უმეტეს, რომ მთელი მსოფლიო ამ ამბის კურსში იყო, დათმობის გზა არჩიეს, საქ-ს სს

რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში ქართული ენა ძირითადი ენა მსგავსი ქვეყნის
ლებურად სახელმწიფო ენად დატოვეს. .

სანამ წინ წავიდოდეთ, სიტყვასა და საქმის შორის ურთი-
ერთობას განვიხილავდეთ, მანამ თვალი კარგად გაცუსწოროთ
თვით მომხდარ ამბავს და ამოვიკითხოთ მისი დედაარსი. .

1978 წლის 14 აპრილს, ტანკებით და სხვა სიცოცხლის მომ-
სპეციალისტთა მიერ გამოსახული უცხო დამპყრობ
ჯარების პირისპირ ქართველი სტუდენტი ჰალგაზრდობა შიშ-
ველი მკერდით იცავდა საკუთარ დედაენას და მით საკუთარ
ეროვნულ მეობას. .ხედავთ სადამდე მიუჯანია ქართველი ხა-
ლხი 25 თებერვლის დამარცხებას?! ხედავთ რა მოლიპული
გზებით გვივლია, რა უფსკრულის პირად მიუჯანივართ ამ
ეჭვის ათეული წლის განმავლობაში კომუნისტური რუსეთის
ბატონობას?! და, განა ძნელი წარმოსადგენია, თუ რა მოე-
ლის ქართველ ხალხს ეს ბატონობა რომ გახანგრძლივდეს!!!

ახლა ისიც ვთქვათ, თუ როგორ სრულდება ცხოვრებაში
ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის თავგანწირვის ფასად შე-
ნარჩუნებული ჩვენი დედაენის სტატუსი.. ვინ არ იცის, ანდა
ვისოდისაა სადავო, რომ საბჭოთა კაგზირში, სადაც ერთი—
კომუნისტურად წოდებული—პარტია ბატონობს, რომლის თავიც
კრემლშია მოკალათებული, კონსტიტუციაც და ნებისმიერი
სხვა კანონიც მკვდარი სიტყვებია და, რომ ცხოვრებაში ხში-
რად მათი საწინააღმდეგო ღონისძიებები ხორციელდებიან,
და განა ასეთსაც მდგომარეობასთან არ გვაქვს საქმე სა-
ქართველოში ქართული ენის შესახებ?! გარდა სრულ ჭუ-
ბრმისა, ანდა სინდისიდან გარეცხილისა, ვის შეუძლია თქვას,
რომ საქ—ს სსრ სახელმწიფო ენა პრაქტიკაში ქართული იყოს,
მაშინ, როცა იქ სახელმწიფო დაწესებულებების მიწერ—მოწე-
რებში, პარტიულ ჭულობებსა თუ პლენუმებზე, უმაღ-
ლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოების სხდომებზე, ფოსტა-
ტელეგრაფში, რკინიგზასა და ავიაციაში, მსხვილ საწამო—
და თვით სავაჭრო დაწესებულებებში და, თქვენ წარმოიდგი-
ნეთ, ისეთ კულტურის კერებში, როგორც ოპერა და კინომრე-
წველობაა, ყველგან რუსული ენა ბატონობს, ყველგან რუსულია
მთავარი და აუცილებლად საჭირო. .



ვინ უნდა უზრუნველყოფდეს ქართული ენის ბატონობას მისა ბუნებრივ საზღვრებში და მის გავრცელება-ს წავლიში უნდა მართდეს მსოფლიოში? რა თქმა უნდა, დღევანდელი საქ-ს უმაღლესი ხელისუფლები, თავიანთი პოლიტიკით, მაგრამ ისინი ქართველი ხალხის მიერ როდი არიან არჩეულნი, არამედ დანიშნულნი არიან ზევიდან ქართველი ხალხის უცხოელი მპჭობელისაგან და ამიტომ ისინიც, უნდათ თუ არა, მათი პატრიონების განკარგულებების მიხედვით მოქმედებენ საერთოდ ჰელა სფეროში და კერძოდ ენის საკითხშიც. ამიტომა, რომ საბჭოთა საქართველოს პარტელმძღვანელობა ქართული ენის გაძლიერება-გაბატონება-აყვავებას კი არ ემსახურება, არამედ ჩვენი მპჭობელი რუსების ენისას. ამ მიმართულებით ეს ვაჟბატონები ფარულ ღონისძიებებითაც აღარ კმაყუფილდებან და ქართველ ახალგაზრდებს აშენად მოუწოდებენ დედა-ენად გაიხადონ რუსული ენა, „რადგანაცო-არწმუნებენ ისინი მათ-დიდი რუსული ენის გარეშე შეუძლებელია ეზიაროთ საკაცობრიო კულტურას.“ (ედ. შევარდნაძე)

ჰელა ზემოთქმულის შემდეგ, მეტად გულუბრყვილო ან გონებაშეზღუდული უნდა იყოს კაცი დაიჯეროს, რომ 1978 წ. 14 აპრილის მძღავრი ეროვნული მანიფესტაციის შედეგად ქართული ენა მართლაც ბატონობდეს საქართველოში და მის მომავალ ბედზე აღარავითარი საშიშროება აღარ ასესბობდეს. პირიქით, იგი მუდამ განსაცდელშია, მას ემუქრება გაღარიბება, დაკნინება, რუსულის დამხმარე მეორეხარისხოვან ენად გადაქცევა. ეს საშიშროება, ეს მუქარა ჩვენს დედა-ენაზე მანამ იარსებებს, სანამ ქართველი ხალხი თავს არ გაითავისუფლებს 25 თებერვლის დამარცხების შედეგებისა-გან, სანამ არ აღსდგება სუვერენული და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო.

მაგრამ სანამ ეს ბედნიერი დღე გათენდებოდეს, მანამ არ-სებულ პირობებში ერთსულოვნად უნდა შემოვკრბეთ ქართველობა და არამც და არამც არ დაგუშვეთ არავითარი ხელყაფა არც ჩვენს დედა-ენაზე და არც ჩვენს კულტურა-ადათ-ზე-ჩვევებზე.



ო რ ი თ დ ე ს ი ტ ყ ვ ა უ ლ ი რ ს თ ა გ ა მ ჟ ა რ ი ც ხ ე ლ ი
ს ი ბ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ვ ა

ჩეენი მკითხველისთვის უცხო არ არის, რომ საბჭოთა პრე-
სა მისი მთავრობის ცრუ პროპაგანდის წყაროა, სტატიების
უმრავლესობაც ამ მიზანს ემსახურება. ოქნებ არ ც ღირდეს
მათზე საუბარი, მაგრამ ხანდახან მაინც გვერდს ვერ აუვ-
ლის კაცი ზოგიერთ მათგანს. სწორედ ასეთთაგანს მიეკუთ-
ვნება გაზეთ „ძომუნისტის“ 1984 წლის 29 ივნისის ნომერში
დაბეჭდილი სტატია, რომელიც მთლიანად „ბურუუბზიული პრე-
სის ცილისმწამებლური მონაკორების“ საპასუხოდაა შეთხ-
ზული. ალბათ რამდენი დრო და ენერგია დასჭირდებოდა სტა-
ტიის ავტორს მის „გამოსაცხობად, „რამდენი „თითიდან გა-
მოწოვილი“ ცნობა აგროვა, რათა მისი „გრანდიოზული შრო-
მის“ ნაყფი უფრო მეტად გაუკულმართებული და, ამავე დრ-
ოს, მაამებლური გამოსულიყო საბჭოთა მთავრობისათვის(ასე
იყაფავენ გზას მავანნი „მაღალ საზოგადოებისაკენ.“)

თურმე, ნუ იტყვით, დასავლეთის ყველა დიდი გაზეთისა და
უურნალის კორესპონდენტები, ბოლო დროს, უზომოდ დაინტე-
რესებულან საქართველოს მდგომარეობით, ცილისმწამებლური
კამპანია გაუჩაღებიათ საბჭოთა საქართველოს მიმართ. („ნუთუ
ვერ ხედებიან ეს არამკითხე მოამბეები, რომ საქართველოს
მათი დასახმარებელი არაფერი სჭირს?!“)

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ ე.წ. სტატიის ავტორი მეტი დამა-
ჯერებლობისათვის შიგადაშიგ დასავლეთის პრესიდან ამოღებულ
საეჭვო ციტატებსაც იუნებს, აქანდა, სულგრძელობას ვიჩენ; .
სტატიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თითო ნაკვესს ხომ მაინც
გაცნობთო. მკითხველი ამაზეც დიდი მაღლობელი უნდა იყოს;. .
ხუმრობა როდია თითო-ოროლა წინადადება! სანაცვლოდ ამ წი-
ნადადების მიღმა დარჩენილი სიცალიერე, სტატიის ავტორის
მიერ შეთხზული, გაუკულმართებული აზრებით ივსება. . შედე-
გი განუზომელია! უნიჭიერეს უურნალისტსაც შეშურდება ამნა-
ირად ამოღებული ერთი-ორი ფრაზის ასეთი ხორცშესხმა. .

ნუ იტყვით და დასავლეთის თავხედ უურნალისტებს ზედმეტი
თავისუფლებისაგან დაუკარგავთ მოვლენების რეალურად შეფა-

სების უხარი და თითხნიან სინამდვილისადმი ყავლატრუსტული რებელ ამბებს. დაბრმავებულან და ვერ ამჩნევენ, რომ ცაჟარ როველოს კეთილდღეობა მხოლოდ რუსეთთან კავშირმა (თუ მონობამ?) მოუპოვა! თვალებზე ლიბრი გადაპირიათ და საქართველოს არნახული წინსვლა მუქად ეჩვენებათ..

რუსიფიკატორული პოლიტიკა? დასავლეთის ურქნალისტთა ავადმყოფური წარმოდგენების შედეგია. (ვიცინოთ თუ ვიტიროთ?)

ჩვენი მხრივ კი ამ კალმოსანს ვეტვით: ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მედლის ნამდვილ მხარეს. განა შეიძლება რუსეთის მიერ გა-
მოყვნებული ჯელა მზაკვრული ხერხის გადავიწყება, საქ-ს ხელში ჩაგდების მიზნით? შეიძლება კია ჯელა იმ ბოროტების ჩამოთვლა, რაც საქ-ში მათ შემოსვლას მოჰყავა, პირველი დღიდან დაწყებული? მთავარი პრობლემა რუსეთისათვის ყველთვის ამ ქვეჭის გარუსება იყო, საამისოდ ის ყველგვარ ხერხსა და მეთოდს მიმართავდა. პოლიტიკა პოლიტიკად დარჩა დღევანდელ დღესაც. განსხვავება ერთია, მეფის რუსეთი არ მაღავდა თავისი პოლიტიკის არსს, რაც ერის გამოფხილებისათვის შედარებით უკეთესი იყო, საბჭოთა რუსეთი კი, მისი შენიღბული დამპტონბლური პოლიტიკის უფრო სრულყფაში მდგომარეობს და არამც და არამც მის სულიერ გა-
რეთილშობილებაში. ცხადია, რისი გადეთებაც შეუძლებელია ერთი ხელის დაკვრით, მისი განხორციელება ხდება თანდათანობით, რაც თურმე უფრო მომგებიანია..

„უცხოელ კორესპონდენტებს-გაზ. „კომუნისტის“ მიხედვით-მოჩვენებიათ, რომ საქ-ში საათის ისრები ოფიციალურად მოსკოვისკენაა მიმართული, არა ოფიციალური კი მხოლოდ ქართულს ცნობს...როგორ ეკადრებათ მათ ასეთი ტული? ქართულ ენას არაფერი ჭირს სხვისი დასაცავი, ვინაიდან მას საბჭოთა კონსტიტუცია იცავს...ბოროტის მსურველთ კი ეჩვენებათ, რომ ამ კანონის მიღება ქართ. ხალხს დიდ ფასად დაუჯდა და 14 აპრილიც ამის გამო საქ-ში ლოცვის დღედ გამოაცხადა.“

-კანონი ქალალდზე რჩება რუსებისათვის და ისევე სრულდება ენის საკითხში, როგორც სხვა დანარჩენებში. ალბათ აუც ის

არის მართალი, რომ საქ—ს თითქმის ყველა დაწესებულებაში საბუთების ჭარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობს? ჭმაცა იცხა თხოულობენ ზეიდან, თითქმის ქართულ ენას არავითარი კონ-სტიტუციური უფლება არ ჰქონდეს. მაღაზიებში ვერაფერს იყდით მხოლოდ ქართულის ცოდნის იმედად. პროდუქციის გასაყდი საქონლის სახელს ვერ გაიგებთ, ვინაიდან ეტიკე-ტები რუსულადაა შედგენილი. მხოლოდ უმცირესობას თუ აქვს გვერდით ქართული ტექსტიც. ამ პროდუქციას არც ხმა-რობს საბუ. საქ—ს მთავრობის ჭევრები, თორებ ეცოლინებო-დათ მათი მშობლიური ენის უკანონო მდგომარეობაში ყოფნა. მიზეზიც ალბათ ეს უნდა იყოს, რომ ოფიციალურ ტრიბუნიდან ხშირად გაისმის: ქართული ენა სახელმწიფო ენაათ.

მერე აა, რომ სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა სკოლები საჭიროზე უფრო მეტია საქ—ში და დღითი-დღე უფრო იზრ-დება მათი რაოდენობა. სამაგიეროდ ქართული სკოლები ოდნავ მეტია მათზე და ესეც ხომ შეღავათია ქართველებისათვის. დასავლეთის უურნალისტებს კი თვალებს აუხვევენ სხვადასხვა ხერხებით, რამეთუ მათ არ ჯერათ ამგვარი საბჭოური სიმა-რთლისა. ნაცადი ხერხები ბევრი აქვთ რუსებს, მაგრამ ყვე-ლაზე საუკეთესო მაინც „მითების“ შექმნაა. ამიტომაა, რომ ჩასულ ტურისტებს და უცხოელ სტუდენტობას ბევრ შავგძნელ ამბებს უყვებიან ქართველებზე. ჩამოთვლაც კი საზიზღრობა იქნებოდა მათი. კმარა იმის თქმაც, რომ ყველივეს თხზავენ ოფიციალურ დონეზე. კიდევ კარგი, რომ ზოგიერთებს ყოფნით გამჭრიახობა და არ იჯერებენ მათ ნაამბობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც გონებაში ერევათ სიცრუე და სინამ-დვილე და უკან დაბრუნებული ყებიან, თუ როგორ ურეკა-ვენ მოსკოვში სასტუმროში მათ შუაღამისას ქართველი კა-ცები (რუსი თარჯიმნის აზრით) არჯანსაღი მიზნით. აა, ხომ ხედავთ, როგორი ჭყალწალებული ყოფილან ქართველები! ვის შეიძლება დასწამო არაკეთილგანწყაბილება? დიდ ძმებს? ისინი ხომ მხოლოდ სიმართლეს, სიკეთეს და მშვიდობას ამ-გვიდრებებს ირგვლივ? საბჭოთა რუსეთის პროპაგანდა ისეა მომართული, რომ ლამისაა თვითვე დაიჯერონ, რომ მართლაც

გაცობრიობის მხსნელები არიან, მაგრამ რა ითქმის ტექნიკურად
როველებზე, რომელთაც დავიწყით ვისი გორისა უფრანგულობა
ტონების ნასუფრალთა მოხვეტის უინს ისე შეუპყრიათ, რომ
ჩმახავენ და ჩმახავენ ათას უხამსობას, მათივე მშობელი
ხალხის საზიანოდ? მხოლოდ ერთი: სამშობლოს ღარღატი, მისი
გაყდვა, ნიშანია სულის ამაზრზენი გახრწნილებისა. არ არ-
სებობს ადამიანისათვის იმაზე საშინელი სენი, ვიდრე სულის
ასეთი ავადმყოფობაა.

ოთარაანთ ქვრივი

ათი წლისთავი ლევან ზურაბი -

შვილის გარდაცვალებიდან

წელს ათ თებერვალს ათი წლისთავი შესრულდა ჩვენი საა-
მაყო მამულიშვილის, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ლტო-
ლვილთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, ბატონ ლე-
ვან ზურაბიშვილის გარდაცვალებიდან.

ათი წელითვალის დახახმაშებაც არაა დროთა უსასრულო
სრბოლაში, მაგრამ ის ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებაში დრო-
ის მნიშვნელოვანი მონაკვეთია. ამ ათ წელიწადში კიდევ რა-
მდენი გულმხურვალე დიდებული მამულიშვილი დაგვარგეთ!
როგორ გულსაკლავად გამეჩერდა სამშობლოდან გადმოხვე-
წილი პირველი და მეორე თაობის რიგები! ხოლო, მათ შო-
რის, ვინც ულმობელ სიკედილს გადურჩენ, ღრმად მოხუცებუ-
ლნი არიან. ადვილი არ არის ერთსა და იმავე დროს ებრძო-
დე ხანდაზმულობის შემოტევებს და ომახიანადაც იდგე მამუ-
ლის დაცვის საღარაჯოზე; არ გაიხლართო გაიძვერა ობობა-
მტრის მიერ დაგებულ ქსელში, არ შეგაცდინონ ანგელოზე-
ბის სახით მოვლენილმა ეშმაკებმა, შენდა უნებურად ზიანი
არ მიაჭნო შენს სანუკვარს და წმიდათა-წმიდა საქმეს.

დიახ, ჩვენ ვიმუფებით დიდ და მუდმივ შემოტევათა გზა-

ჯვარედინზე. თუ ავღანეთის ხალხს საბჭოთა ხელისუფლები ტანკებით, ვერტმფრინავებით და სხვა გამანადგურებელი საშუალებებით ებრძვიან, ჩვენ, ეროვნულ პოლიტიკურ ლტოლვილებს, დათაფლული საწამლავებით გვაბრუებენ, რომ გზაკვალი აგვირიონ. ამიტომაც კია საჭირო გავიხსენოთ ლევანი, სიკვდილის წყლიადიდან მისი ძვირფასი ხატი გამოვიწვიოთ, რომ იქნებ დაგვეხმაროს ჩვენს ბნელსა და ეპლიანს გზაზე წინ სვლაში.

ლევანი ჯერ კიდევ სიკვდილს არ ელოდა. მას პოლიტიკური ანდერძი არ დაუტოვებია, მაგრამ მისი ცხოვრება თვითად ეს ანდერძი, თუ მას სწორად ამოვიკითხავთ.

ლევანი დაიბადა თბილისში, 1906 წლის 19 ივნისს. ის იყო ივანე ზურაბიშვილის უმცროსი, მესამე ვაჟიშვილი. ბატონი ივანე ფართო კულტურის მქონე, პროფესიით იურისტი, სახელმოვანი მწერალი ბელეტრისტი, უურნალისტი და საზოგადო მოღვაწე იყო საქართველოში 1900-ან წლებში, რომელსაც დიდი ილია ისე დიდათ აფასებდა, რომ, როცა 1905 წელში ეროვნული პარტიის დაარსება განიზრახა და მისი წესდებაც შეიმუშავა უახლოეს თანამზრანებელთა წრეში, ამ პარტიის პრაქტიკული სახელმძღვანელოდ მისი კანდიდატურა წამოაყნა.

ლევანის დედა კი გახლდათ სახელმოვანი ნიკო ნიკოლაძის უფროსი ქალიშვილი ქალბატონი ნინო, თვით სახელმოვანი პედაგოგი და უურნალისტი. გასაკვირი არ არის, რომ ლევანმა და მისმა ორმა უფრო-



ლევანი 1946 წელში



ივ. ზურაბიშვილის ოჯახი თბილისში: სხედან: ქ- ნინო, ბ. ივ-
ანე და ლევანი. ფეხზე დგანან: მარჯვნივ არჩილი და გიორგი.

სმა ძმამ: არჩილი და გიორგიმ საუკეთესო აღზრდა-განათლე-
ბა მიიღეს ჯერ ოჯახში და მერე სკოლაში. ბატონი ივანე
შვილებს თავიდანვე უნერგავდა ქართული საქმის სიყვარულს
და აცნობდა ჭელი მნიშვნელოვან ეროვნულ მანიფესტაციებს.
ასე ამრიგად 11 - 12 წლის ლევანი მამასთან ერთად დაესწ-
რო სვეტიცხოველში ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდ-
გენის და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის სა-
ჯაროდ გამოცხადების ზეიმებს, რომლებმაც ჭარვილზე წარუ-
შლელი კვალი დასტოვეს და შეიძლება ითქვას, რომ მისი შე-
მდეგი ცხოვრების მიზანი განსაზღვრეს, როგორც სამშობლოს
მსახურისა.

ჩვენს თავისუფალ სამშობლოს რომ დასცლოდა, მის აღმშე-

ნებლობასა და აყვავებაში თუ რა დიდმნიშვნელოვან ურთილეული ითამაშებდებ ბ. ივანე და მისი ვაჟები, ეს ჩანს თუნდპუ გმი ზოგიერთი საპასუხისმგებლო თანამდებობების აღნიშვნითაც, რომელთაც ივანე ზურაბიშვილი განაგებდა დამოუკიდებლობის დროს. რუსეთის რევოლუციამ მას მოუსწრო ამიერკავკასიის რკინიგზების კონსულტატის პოსტზე. რევოლუციის პირველსა-ვე დღეებში მას ირჩევენ ამ რკინიგზათა კომიტეტის თავმჯ-დომარელ; 1918 წელში, როცა საქ-ს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იქმნება, ბატონ სპირიძონ კედიას თავმჯდომარეობით, მას ირჩევენ ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და წარმომადგენლად სენატში; 1917 წლიდან ბ. ივანე კაზე-თის რკინიგზის გამგეობის თავმჯდომარეა, 1918 - 21 წევებში ტყბულის ქვანახშირის მაღაროების გამგეობის თავმჯდომარე, ამავე დროს ის წევრია საქ-ს სავიჭრო პალატის და თავმჯ-დომარე საქ-ს სასოფლო-სამეურნეო-საურთიერთო ბანკის. ამა-თთან შეთავსებით ის დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა საქ-ველმოქმედო და კულტურულ საზოგადოებებში.

მაგრამ არ დასცალდა თავისუფალ საქართველოს წელში გა-მართვა...დაპყობის პირველ დღეებშივე, 1921 წ. 19 მარტს, ივ. ზურაბიშვილი სტოვებს სამშობლოს, ბათუმიდან ჯერ მი-ემგზავრება ცოლისა და ლევანის თანხლებით სტამბოლში, სა-დაც ლევანი ამთავრებს ლიცეუმს, ხოლო 1924 წლიდან ზურა-ბიშვილები საბოლოოდ სახლდებიან საფრანგეთში.

საფრანგეთში ბ. ივანეს ძალიან გაუჭირდა ცხოვრება, გან-საკუთრებით პირველ წელში, მაგრამ იგი უიმედობაში არ ჩავარდნილა, პატიოსანი შრომა არ უთაკილებია და სამივე ვაჟს უმაღლესი განათლება მისცა; ლევანმა 1931 წელს და-ამთავრა სამთო-საინჟინერო ინსტიტუტი და სამსახური დაიწ-ყო ცნობილ ფორდის საავტომობილო ქარხნის ფრანგულ „სიმკა-კრისლერის“ ფირმაში, სადაც ის პენსიაში გასვლამდე-39 წ. განმავლობაში-დარჩა, როგორც ერთ-ერთი დეპარტამენტის უფ-როსი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ლევანმა ბევრ ჩვენ თანამე-მამულეს დაეხმარა ამ ქარხანაში სამუშაოდ მოწყობაში და



ქარხნის დირექცია ლევანის საპატიო ცემოდ ჩვენ საჭრებულოს
უკვე საახალწლოდ უხვ საჩუქრებს უგზავნიდა ბაჟუშერს სი-
ვის.

ლევანმა საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღრესტუდენტობაში
დაიწყო, იყო ქართ. სტუდენტთა კომიტეტის წევრი, პარიზში
ქართული ეკლესიის დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი და
ქართ. უმუშევართა კომიტეტის აქტიური წევრი და სხვა..

მაგრამ, მისმა მოღვაწეობამ სრული სახე მხოლოდ მეორე მსო-
ფლიონ ომის შემდეგ გამოაჩინა. არ ვიცი წინდახედულობით,
არ ვიცი პოლიტიკური მრწამსით თუ საფრანგეთის პატივის-
ცემით, ლევანს ომის განმავლობაში კავშირი არ ჰქონებია
იმ ქართულ დაჯგუფებასთან, რომელიც პიტლერის გერმანიას--
თან თანამშრომლობდა. ევროპის დიდი ენების საფუძვლიან
ცოდნას და ფართო კულტურასთან ერთად, ლევანს გააჩნდა
პირველხარისხოვან პოლიტიკურ მოღვაწის სამი საჭირო თვისე-
ბა: ხასიათის სიმტკიცე, იშვიათი მახსოვრება ადამიანებისა
და ამბების და მტკიცე რწმენა თავის თავში. ყველა ამის
გამო ის მოწოდებული იყო მთავარი როლი ეთამაშა ჩვენი
ემიგრაციის ცხოვრებაში კერძოდ და ეროვნულ განთავისუფ-
ლების საქმეში, რაც მისი სიცოცხლის აზრს წარმოადგენდა,
საერთოდ. სანამ ლევანზე საუბარს გავაგრძელებდე, ზედმეტი
არ იქნება სულ მოკლედ მაინც შევეხოთ ომის დამთავრები-
სას არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას..

მეორე მსოფლიო ომიდან გამარჯვებული ფაქტიურად მხო-
ლოდ საბჭოთა რუსეთი გამოვიდა, რომლის უზენაესი და შეუ-
ცილებელი მბრძანებელი იყო ქართველი სტალინი და, რომლის
აღვირას სნილ ძალადობის წინაშე ქედს იხრიდენ არა მხოლოდ
აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც საბჭოთა
ჯარებმა „გაანთავისუფლეს, არამედ აგრეთვე დასავლეთ ევრო-
პისაც.. ამ უკანასკნელ ქვეწებში, მათ შორის საფრანგეთშიც,
ქუჩებში ნადირობდენ საბჭოთა პოლიციის აგენტები ყოფილ სა-
ბჭოთა მოქალაქეებზე, რომლებიც მხოლოდ სასწაულებრივ გა-
დურჩენ მისა და ტჯეობის საშინელებებს და, რომლებიც
ახლა უარს ამბობდენ რუსეთის საკონცეტრაციო ლაგერებში
რეპატრიირებაზე. ძველი ემიგრანტებიც შიშისაგან გარედ
ვერ გამოდიოდნ... სად გაამხელდი საქართველოს დამოუკი-

დებლობას! ვიღას ახსოვდა ქართველი ხალხის ფეხშვეშ გაომ-ლილი თავისუფლება? მისი 1920-ანი წლების გმირული ბრძოლები და მისგან გაღებული მსხვერპლი? საქართველოს იუნიტერენ მხოლოდ, როგორც სტალინის სამშობლოს და, მაშასა-დამე, როგორც რუსეთის შემადგენელ ნაწილს.

როდია გასაკვირი, რომ ძველ ეროვნულ ემიგრაციის რიგებშიც გამოჩნდენ ოპორტუნისტები, სულმოკლენი, რომლებიც საბჭოთა საელჩოების კარნაზით აშკარად ქადაგებდნენ, თუ დაძმობილებას არა, შერიგებას მაინც გამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ასეთ ვითარებაში, დიდ სიყვარულსა და ერთგულებასთან ერთად, დიდი გამშედაობაც იყო საქირო, რომ საქართველოს ეროვნული ღროშა საჯაროდ აეფრიალებია კაცს და ეს კაცი გახლდათ ლევან ზურაბიშვილი. 1946-47 წლებში ლევანის ინიციატივით პარიზში თვითციალურად არსდება „ქართველ ლტოლვილთა კავშირი“, „ქეპარტიული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. თ. ჭ. ცაგშირმა ფართო გამოხმაურება პპოვა ჩვენს შორის, მის პირველსაც დამფუძნებელ კრებას მრავალრიცხოვანი ახალი და ძველი ლტოლვილი დაესწრო 1947 წელში, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო არჩიეს, რომლის უცვლელი თავმჯდომარე სიკვდილამდე იყო ლევან ზურაბიშვილი. .

ლევანი მარტი ამით არ კმაყიფილდება, იმხანად ის დიდათ აქტიურობდა, რომ ჟელა ეროვნული პარტიების, ორგანიზაციების და მხედრების კავშირით შემდგარიყო გაერთიანებული ეროვნული ფრონტი. ეს ცდა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. მიზეზები, აღიარებული თუ უთქმელი, სხვებიც იუვენ, მაგრამ შეუთანხმებლობის მთავარი მიზეზი იყო ეროვნული მთავრობის საკითხი. მოლაპარაკებების მონაწილეთა ერთ ნაწილს, რომელთა შორისაც იყო ლევანიც, არ სურდა ეროვნული მთავრობის მონაწილეობა განზრახულ გაერთიანებაში, რასაც სხვები და პირველ რიგში სოციალისტები მიუღებლად თვლიდენ. .

ამ უთანხმოებას, 1950-ან წლების დასაწყისში მოემატა სა-

გარეო პოლიტიკის საკითხიც. „ამერიკაში დაარსდა ქართული შევიგური კომიტეტი“, რომელმაც საბჭოთა კავშირის ზელინ ბის ემიგრაციებს მიმართა რუსების ჩათვლით, რომ შექმნილი ყოფილი საერთო ანტისაბჭოთა ფრონტი. ეს წინადაღება მიიღო ჩვენმა მემარცხენე სექტორმა, სოციალისტებისა და მთავრობის ჩათვლით, მაგრამ თავიდანვე უკუაგდო მემარჯვენე სექტორმა, რომელთა შორისაც იყო ლევანიცა. ამ საკითხმა საბოლოოდ ორად გაყო ქართული ემიგრაცია. ერთი მხრით დაარსდა ე.წ. „ეროვნული საბჭო“ და მეორე მხრით ე.წ. „ქართული პოლიტიკის ცენტრი“. ამ უკანასკნელში ლ. ზურაბიშვილი ფაქტიურად ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. ამ მოვლენების დაწვრილებით იღწერა და დაფასება ამ წერილის ჩარჩოებში შეუძლებელია და მეც თავს შევიგავებ. მას ალბათ გამოუჩნდება ვიმედოვნებ თავისი ისტორიოგრაფი. აქ კი ვიტყო, რომ დავა, უთანხმოება და შეხლა-შემოხლა დიდხანს გაგრძელდა ჩვენს შორის და მისი დაძლევა მიუხედავად არაერთი ცდისა შეუძლებელი გახდა.

ეროვნული საბჭო რიცხობრივად აშკარად სკარბობდა ქართული პოლიტიკის ცენტრს. ეს ცხადი იყო, რაღანაც 1951 წლიდან მოყოლებული, ჩვენი საფრანგეთის სათვისტომოს გამგეობის არჩევნების დროს, თავმჯდომარედ ერთი მხარე ჟაველვის ლ. ზურაბიშვილის კანდიდატურას აჭნებდა, მაგრამ კენჭის ჭრით იგი მუდამ მარცხდებოდა. ასე გაგრძელდა ათი წელიწადი.

1961 წლის საარჩევნო კრებაზეც, რომლის თავმჯდომარეობაც მე მხვდა წილად, ბ. შალვა აბდუშელიშვილისა და ბ. ლევან ზურაბიშვილის კანდიდატურები იყვნენ წამოყენებული მომავალ გამგეობის სათავმჯდომაროდ. ლევანი კრებაზე გამოვიდა თავდაპირილი სიტყვით, ზომიერი კრიტიკით და წამოაყნა სამოქმედო პროგრამა, რამაც კრებაზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. მიუხედავად ამისა კენჭი რომ გვეყრა, ლევანი მაინც დამარცხდებოდა. შევაფასე რა შექმნილი განწყობილება, კრება დროებით შევწყიტე და კანდიდატებსა

და პარტიების წარმომაღებელებს ვთხოვე მოსათათბირებლად ლეგან ცალკე მობრძანებულიყვენ. აქ უნდა აღვნიშნო, რომ შეატონის შალვა აბდუშელი ყველასათვის საყვარელი, დამსახურებული და კეთილშობილი მამულიშვილი იყო, რომლის პიროვნების წინააღმდეგი უსათუოდ არ ვიყავით, მაგრამ ვფიქრობით, რომ შედარებით ახალგაზრდა და საფრანგეთში აღზრდილი ლეგანი, უფრო ეფექტურ სამსახურს გაუწევდა ჩვენ სათვისტომოს და ამავე დროს, რაც მთავარი იყო, ოპოზიციის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებით, შესაძლებლობა შეიქმნებოდა ურთიერთ შორის ბრძოლის შეწყვეტისა და შეიძლება ემიგრაციის ეროვნული ფრონტის გამრთელებისაც.

ამ შეგნებით გამსჭვალულმა მივმართე თათბირს და პირველ რიგში თვით ბატონ შალვას, მოეხსნა მისი კანდიდატურა ლევანის სასაჩვებლოდ. მან განაცხადა, რომ მისი კანდიდატურა მისი პარტიის მიერაა წარმოყენებული, თუ აქ მყოფი მისი წარმომაღენლები საჭიროდ დაინახავენ მისი კანდიდატობის მოხსნას, ის ამის წინააღმდეგი არ იქნება. მაშინ, თათბირზე დასწრე სოციალისტებმა ლევანს მოთხოვეს, თუ ის მათი თანხმობის შემთხვევაში სათვისტომოს საქმიანობაში დაიცავდა პოლიტიკურ ლიიალობას, რაზედაც ლევანმა უჭირავნოდ თანხმობა და მზადყოფნა განაცხადა. თათბირი ამრიგად შეთანხმდა ლევანის კანდიდატურაზე, რაც მე კრებას მოვახსენე. ამ უკანასკნელმა საერთო სიხარულით და ტაშის-ცემით დაადასტურა თათბირის გადაწყვეტილება, ლევანი იქნა არჩეული სათვისტომოს თავმჯდომარედ და ამის შემდეგ სიკვდილამდე ლევანს ამ პოსტზე აღარავინ შეცილებია.

ლევანი ბოლომდე ერთგული დარჩა მოცემული სიტყვის. გამგეობაში ყველა ჯგუფს ყველა თავისი წარმომაღენელი, საქმიანობა წარმოებდა. მეგობრულ და კოლეგიალურ ატმოსფეროში, ურთიერთს შორის დავა და შფოთი მინელდა, სიკვდილიც თავის საქმეს აკეთებდა და 197.0 -ან წლების დამდეგიდან შესაძლებლად მიგვაჩნდა ეროვნული ემიგრაციის ორგანიული გაერთიანება. ამ მიზნით იყო, რომ თითქმის ყველა ღჯგუფებების წარმომაღენელთა თანხმობით „თავისუფლების ტრიბუ-

ნა „დავაარსეთ, რომელსაც მიზნად დაუუსახეთ ჯუჭურებენდა ეროვნული ძალების ერთობისათვის ნიადაგის მომზღვეულის ლიტიკურ დაჯგუფებათა და შეხედულებათა სხვადასხვაობის პატივისცემის პირობებში. სამწუხაროდ ჩვენდა და ჩვენი დაწყაბილებისა, ლ. ზურაბიშვილი, რომელიც სანუკვარი გაერთიანების თავიაცი უნდა ყაფილყო, ულმობელმა სიკლიმა მაღე მოგვტაცა, რის გამოც ჩვენი განზრახვა განზრახვად დარჩა, მაგრამ უურნალს მის ძირითად მისიისადმი არასოდეს უღალატნია. .

ლევანის მოღვაწეობა არ იფარგლებოდა საფრანგეთის ქართ. სათვისტომოს გამგეობის ჩარჩოებით, ის მას ფართო ეროვნულ მოღვაწეობასაც უკავშირებდა. მან მჭიდრო ურთიერთობა და ამყარა ჩვენ თანამემამულეთა სხვა ქვეყნების სათვისტომოებთან, გახდა მათი საქმიანობის ფაქტიურო კოორდინატორი; კავშირი დაამყარა ჩვენს ბედში მყოფ ერების სათვისტომოებთან და ანტისაბჭოთა საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ჩვენი ჩაგრული ხალხის სახელით გამოდიოდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე, აქვეყნებდა წერილებს საქართველოს მდგომარეობის შესახებ ფრანგულ პრესაში, თვით სცემდა ფრანგულ და ქართულ ენაზე სათვისტომოს ყველწლიურ „ცნობის ფურცელს“ და ამავე დროს უძღვებოდა საფრანგეთის სათვისტომოს სამეურნეო და კულტურულ საქმიანობას. აქედან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ აბონდანის მოხუცთა თავშესაფარის დარსება და პარიზში ჩვენი ეკლესიის ბინის შეძენა. სწორედ გასაოცარია თუ როგორ ასწრებდა ის ყველივე ამას, თავის სამსახურთან შეთავსებით. იქნებ გადაჭირებებულმა შრომამაც და ქანცა მისი ორგანიზმი და სიცოცხლე მოუსწრაფა!

ზურაბიშვილებმა დიდებული წესი შემოიღეს: ერთად უხდიან წირვა-პარაკლისებს მიცვალებულ მშობლებს, რაც ბევრს მეტზე ველებს ამ დიდი ოჯახის წევრების სულიერ ნათესაობაზე. მოდით, ძვირფასნო მკითხველნო, ჩვენც ლევანთან ერთად მაღლიერების გრძნობებით მოვიხსენიოთ მისი განსვენებული ძმები არჩილი და გიორგი და მშობლები ქ. ნინო და ბ. ივანე,

ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი

ხოლო მათ ცოცხალ მონაგართ, რომლებიც დღეს საჭრები და და ჩვენი საზოგადოების სახელოვანი მოქალაქეები და ტექნიკი არიან, გუსურვოთ დღეგრძელობა, კიდევ უფრო გამრავ-ლება და პგლავაც სახელოვანი წინაპრების კვალზე სიარული.

გოგი წერეთელი

ლევან ზურაბიშვილის სახსოვრად

გაგვილდა დიდი ბრძენი ქართველი,
გაგვილდა ლევან მომღიმარ სახით;
მის განშორებას გლოვობს ყველი:
დედა—სამშობლო, ქართველი ხალხი.

მზე ჩაგვისვენდა, დავრჩით ობოლი;
მუხთლად ეგვეთა მკვლელი ვერაგი;
დღეს, რომ აქ იდგა ფოლადის ტოლი,
ხვალ ვინ იურვოს მისი მერანი?

მაინც სიკვდილო რისთვის მოგვტაცე,
ბედს მოკლებული ზურაბიშვილი?

რა დაგიშავა, რომ არ აცალე,
რომ აუტირე ცოლი და შვილი?

ოდესმე ბედი გზას გამოკვეთავს
და გულთ გაგვითბობს თბილი ნაკადი;
მაშინ ლევანიც ზე წამოდგება,
ხალისიანი, მტკიცე თავადი.

გაგვილდა დიდი ბრძენი ქართველი,
გაგვილდა ლევან მომღიმარ სახით;
მის განშორებას გლოვობს ყველი:
დედა—სამშობლო, ქართველი ხალხი.

ტიტიკო ჩხეიძე

კანადა 1975.



გოგი ჯაყელთან დამშვიდობებული
სამსახურისა

„ვა, სოფელო, რა შიგან ხარ, რას გვაძრუნებ, რა ზე
გვიჩირსა!

ყავლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;

სად წაიჭან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!...“

ეს მწარე მოთქმა-გოდება ჩვენი უკვდავი მგოსნისა, შოთა რუსთაველისა, უნებლიერ მაგონდება ღლეს, როცა გრძნობა-გონება აფორიაქებული გოგი ჯაყლის კუბოს წინაშე ვდგა-ვარ და უკანასკნელად ვემშვიდობები.

და მართლაც, განა ყავლად უსამართლო, ყავლად დაუნდობელი, ყავლად უკუღმართი არ არის ის მოვლენა, რომ საქართველოს ერთგულ შვილს, თავის დაჩაგრული ერის განთავისუფლებისათვის დაუღალავად მუდამ მებრძოლს, ის ბელნიერებაც კი არ ხვდა წილად, რომ მისი გაციებული ნეშტი საჭარელ მშობელ მიწას მხურვალედ გულში ჩაეკრა და სამუდამო მშვიდობა და მოსვენება მიენიჭებინა.

უმოწყალო, უღვთოა ბეჭი ყავლი ქართველი მამულიშვილისა და ძალით უცხოეთში გადმოტყორცნილისა!

64 წლის წინად თავისუფალ საქართველოში, თბილისის სახ. უნივერსიტეტში, პირველად შევხვდი და გავეცანი სრულიად ახალგაზრდა გოგი ჯაყლს. მივხვდი, რომ ეს გატაცებული ჭა-წვილი მოწყურებული, რაც შეიძლება უფრო საფუძვლიანად შეისწავლოს ქართული ისტორია და ლიტერატურა, აუცილებლად თავის წვლილს შეიტანს ქართული კუტურის მომავალ აჭვავება-განვითარებაში. არ დასცალდა...ვერაგი მტერი, სრულიად მოულოდნელად, ყაველგვარი საქართველოს და უხეში ძალით დაიცხო, დაიმორჩილა ჩვენი პატია, წარმტაცი ქვეყნა და მის ამაყ ხალხს მონობის მძიმე უღელი დაადგა.

დაიწყო გამუღმებული დევნა, დაჭრა, გადასახლება და დახვრეტა იმ მამულიშვილებისა, ვინც სიტყვით თუ საქმით ებრძნენ, არ ურიგდებოდნენ უცხო მომხდური ძალის გაბატონებას ჩვენს ქვეყნაში. მრავალი ოჯახი იძულებული გახდა

უცხოეთში გახიზნულიყა და იქიდან განეგრძო წინააღმდეგო-
ბა ეკროპის დახმარება-თანაგრძნობით. სამწუხაროდ მო-
გართლდა ჩვენი იმედები მსოფლიო დემოკრატიაზე და ერთი
ლიგაზე დამყარებული; ყვლად უშედეგოდ დამთავრდა გენუის
კონფერენცია, რომელსაც მისმა უწმინდესობამ საქ-ს კათალი-
კოსმა ამბროსიმ მიმართა თხოვნით, ათი ათასი კაცის ხელმო-
წერილით, სადაც აუწყბდა ხსენებულ კონფერენციას, თუ რა
უბედურება, რა საშინელება დაატყდა თავს ქართველ ერს,
უცხო ძალების შემოსევა-გაბატონებით.

დამარცხდა ქართ. ხალხის საერთო, საყოფელთაო გმირული
აჯანყება. შედეგი იყო აუარებელი მსხვერპლი, გადამწვარი
სოფლები და გულამოსკვნილი გლოვა-ტირილი. სამარისებური,
სულის შემხუთველი სიწყარე გამეფდა იმედწართმეულ თით-
ქოს ჟელას მიერ მიტოვებულ ჩვენს სამშობლოში.

და აი, სრულიად მოულოდნებულად იფეთქა, დაიწყო მეორე
მსოფლიო ომი.... წინასწარ დარწმუნებული დემოკრატიული
ქვეწების გამარჯვებაში, ჩვენი ხალხი და მისი ემიგრაციაც
მოუთმენლად მოელოდა ომის დამთავრებას, რათა განხორცი-
ელებულიყა ატლანტიკის ქარტიის საქვექოდ გამოცხადებული
დაპირებები, რომ ომის გამარჯვებით დასრულებისას ყაველ
ერს მიეცემა სრული თავისიუფლება და სამუდამოდ ბოლო მო-
ელება ჟველგვარ დაპყობას და ძალადობას... იალტის საბე-
დისწერო შეთანხმებას-ხელშეკრულებამ გაანადგურა-გააცამტვა-
რა ჩვენი იმედი და მოლოდინი!

მაგრამ ადამიანს არ შეუძლია შეუჩრიგდეს არსებულ მწარე
სინამდვილეს და ჟველთვის იმის მოლოდინშია, რომ ხვალინდელი
დღე უფრო ნათელი და ბედნიერი იქნება, და მისი ნატვრა-
ოცნება, მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა, ოდესმე მაინც
განხორციელდება. ამ იმედის მქონე გოგი ჯაჭლი გადმოსახლ-
და კეთილშობილ, ძლევამოსილ ამერიკაში და სიტყვით თუ წე-
რით განაგრძობდა თავისი ეროვნული მოვალეობის პირნათლად
შესრულებას. მაგრამ ხანდაზმულმა, დაავადებულმა ვერ გაუ-
ძლო, ვერ აიტანა მის თავზე დამტყდარი ჟველგვარი უბედუ-
რება და დღეს მისი ჩვეულებრივად მოუსვენარი, მოძრავი
სხეული უმოძრაოდ გამომწყდებლიდ ვიწრო კუბოში.

ძვირფასნო თანამემამულენო! მო-
მავალ საზოგადო კრებაზე ვეღარ
ვიხილავთ მუდამ თავაზიანს, ყე-
ლასადმი მეგობრულად განწყობლს
გოგი ჯაყელს! ვეღარ მოვისმენთ
მისი სუსტი ხმით, მაგრამ ქლიე-
რი გრძნობით აღზნებულ-აღფრ-
თოვანებულს მის გამამხნევებელ
სიტყვებსა! ვეღარ დავტკბებით,
ვერ გავიხარებთ სტუმართმოფა-
რე ქართულ ოჯახში გაშლილ
სუფრაზე მისი მოხდენილი, ლა-
მაზ ფორმებში ჩამოსხმული სა-



არაველი
შემდეგობისას

დღეგრძელოებით! დადუმდა სამუდამოდ მისი მდიდარი, მეტა-
ლი ენა! მოგვწყდა, მოგვშორდა გოგა ჯაჭვი და გაუდგა მა-
რადიული საიდუმლოებით, უკუნითი წყვდიადით მოცულ გრძელ
გზას და, თან წაიღო ჩვენი მაღლობა და სიჭარული, რამეთუ
იყო ის ყველგან და ყველთვის ქართველი ერის ღირსების და
მისი თავისუფლების მხურვალე დამცველ-მქადაგებელი!

მშვიდობით, საყარელო მეგობარო გოგი ჯაჭვი!

საუკუნო იყოს ხსენება შენი!

გიორგი ნაკაშიძე

გიორგი (გოგა) ჯაყელი

გარდაიცვალა ნიუ-იორკში 1984 წლის 27 დეკემბერს. ის
იყო დიდი ოჯახის შვილი, დიდი პატრიოტი და დიდი განათ-
ლებული, მეტად დინჯი და სერიოზული.

რუსეთთან ომის დაწყიბისთანავე ის ჩაება ქართულ საქმეში
და თანამშრომლობდა პარიზის განყოფილების ბიუროში 1942
წლის ბოლომდე, შემდეგ კი ბერლინში.

ომის დამთავრების შემდეგ ის მოხდა იტალიაში, იქიდან
გადავიდა ესპანეთში, ბატონიშვილ ირაკლი ბაგრატიონის დახ-
მარებით და შემდეგ ამერიკის შ. შტატებში, სადაც ის ცხო-
ვრობდა ბოლომდე.

მისი ძმა ლევანი დაიღუპა ბრძოლის ველზე 1942 წლის სექ-



ტემბერში.

დაუგიშურ მოგონებას სტოვებს გოგა მის მეგობრებში მიმდინარეობდა მის უმცროს ძმა—კონსტანტინეს ჩემს თანაგრძნობას ვუცხა-ლებ, ხოლო განსვენებულს საუკუნო ხსენებას. .

აკაკი შავგულიძე

აწ განსვენებულ ბატონ გიორგი ჯაყლს მხოლოდ მისი სტა-ტიებით ვიცნობდი, რომლებსაც ის ადრე „ქართულ აზრში“ აქვეზებდა და შემდეგ კი ჩვენ „თავისუფლების ტრიბუნაში“. მას პირადი მიწერ-მოწერაც ხშირად ჰქონდა ჩემთან, რომლე-ბიც სათუთად ინახებიან ჩემს არქივში. .

ამ საჯარო თუ კერძო წერილებიდან გამოსჭვივოდა მისი ავტორის ფართო კულტურა, დიდი ჰუმანიზმი, უნაპირო მა-მულიშვილობა და, რაც დღეს ჩვენთვის მთავარია, ურყვი რწმენა ჩვენი სამშობლოს კეთილი მომავლისა, მისი გარდა-უვალი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. .

მოწიწებით მუხლთ ვიდრედ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე და მაღლიერების გრძნობებით ვემშვიდობები. .

საუკუნო იყოს ხსენება გიორგი ჯაყლისა!

გიორგი წერეთელი

აკაკი (კაკო) გამსახურდია

„გუშაგის“ 1984 წ. იანვრის
ნომერში წავიკითხე მეტად სამ-
წუხარო ამბავი: გარდაიცვლაო
კაკო გამსახურდია. .

ჩვენ ვიყვით ერთი თაობისა; .
კაკო რაღაც ოთხი წლით იყო ჩე-
მზე უფროსი. . ჩვენ ერთად ვსწა-
ვლობდით ბათუმის ვაჟთა გიმნაზი-
აში და ერთად ვიყვით საქ. სოც. .
ფედერალისტთა პარტიის ახალგაზ-
რდათა ბათუმის არალეგალური ორ-
განიზაციის წევრები, რომელსაც





ხელმძღვანელობდა აშ განსვენებული ფილიპე შარაძე¹ კუ კო მისი დამხმარე იყო. როცა ბათუმის გიმნაზიაშია მუსიკის დროის დაარსდა მოწაფეთა ხელნაწერი ლიტერატურული უურნალი „ჩირალდანი“, კაკო გამსახურდია მისი წამყვანი თანამშრომელი იყო. .

1922 - 23 - 24 წლები იყო ბათუმში მოწაფეთა დემონსტრაციების წლები. კაკოსთან (აკაკის ჩეენ, მეგობრები სიყვარულით ასე ვეძახდით) ერთად მეც მოვჰვი პატიმრობაში და ვისხედით „ჩეენის“ სარდაფში. აქ იუნენ ჩეენი თანაკლასელები: დავით ხარისჭირაშვილი, დაიღუპა თურმე, როგორც ეს მითხრა ჩემმა მეგობარმა აშ განსვენებულმა მათე კერძესელიძემ, მეორე მსოფლიო ომის დროს. ის იყო ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატი; ლუკა ყაზაიშვილი—ახალგაზ. სოც. ფედერალისტი, გარდაიცვალა ნიუ-იორკში; ძმები გამსახურდიები, მათი სახელები არ მომავალდა მე უბედურს,—ახალ. სოც. ფედერალისტები, ბოლოს შევიღნენ კომპარტიაში და 1937 წელს დახვრიტეს; ოსმან ფალავა—ახალ. სოც. ფედერალისტი; შალვა ჯამბერიძე—ახალ. მარქსისტი და შრავალი სხვა. .

მეორე მსოფლიო ომის დროს კაკოს შევხვდი ბერლინსა და ზალცბურგში, გვქონდა დიდი მეგობრობა. ის ენერგიულად მუშაობდა ქართველი სამხედრო ტყველის ბანაკებიდან გამოსაყანად, საღაც ისინი იხოცებოლნენ სიცივისა და შიმშილისაგან. აშ ყობდა მათ სამუშაოებზე. კაკოს დიდი მეგობრობა ჰქონდა ჩეენს საყვარელ მასწავლებელთან გიგა ჩიქოვანთან, ის იყო სოც. ფედერალისტი, სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ბათუმის ინტელიგენციაში. კაკოს გადაღებული ჰქონდა მასთან სურათი და მე გამომიგზავნა მიუნხენში. კ. გამსახურდია იყო მეტად ჩუმი, დინჯი ახალგაზრდა, სპეტაკი, ერთგული და გამტანი მეგობარი, შეგნებული მებრძოლი ეროვნული განთავისუფლებისა. .

ერთხელ ომის დროს ზალცბურგში თვალცრემლიანმა მითხრა: ილიკო, მოვესწრებით სამშობლოს ნახვასაო! ვეღარ მოესწრო, ალბათ ასეთი იყო განგება ღვთისა... ჭელაფერი გათავდა ვითა სიზმარი ღამისა... ისედაც მცირერიცხოვანმა ემიგრაციამ კა-

კო გამსახურდიას სახით დაჰყარგა ერთ-ერთი მებრძლთაგადა
ნი პიროვნებისა და ერის თავისუფლებისათვის. პიროვნების
საუკუნოდ იყოს ხსენება კაკო გამსახურდიასი!

მინდია ლაშაური
მიუნხენი, 1985.,

ა ლ ე ქ ს ი ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი ს გ ა მ ო ს ა -

თ ხ ო ვ ა რ ი ს ი ტ ყ ვ ა (1905 - 1985)

ალექსი ჩხენკელი ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაი-
ცვილა, სადაც ის საფრანგეთის ჯარიდან პენსიაში გასცლის
შემდეგ ცხოვრობდა და ეწეოდა სამოქალაქო ინჟინრობას. შაბათს, 2 თებერვალს, საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის სა-
პატიო ყარაულის თანდასწრებით მისი ნაშთი მიბარდა ლევი-
ლის სასაფლაოს მიწას.

ისტორიული გვარის მატარებელს, (ის იჭი შვილი აკაკი ჩხე-
ნკელისა, რუსეთის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფედერა-
ციის პირველი თავმჯდომარისა, დამოუკიდებელი საქართველოს
რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და ბოლოს საქართ-
ველოს სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის მთავრობის წინა-
შე.) ალექსი ჩხენკელს წილად ხედა ემიგრანტობა საფრანგე-
თში. აქ მან-1925 წელში-დაამთავრა სენ-სირის ცნობილი
სამხედრო აკადემია (შევალიე ბაიარის გამოშვება), რის შემ-
დეგაც მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა საფრანგეთის მხე-
დრობას, სადაც ისევე, როგორც სხვა ქართველ ოფიცერთა
ფალანგა, ალექსი იყო ჩვენი ემიგრაციის სიამაზე, სახელოვ-
ნად მსახურობდა და წარმატებით ჩხორციელებდა ქართული
და ფრანგული პატრიოტიზმის ჰარმონიულ მორიგებას.

ა. ჩხენკელმა სამხედრო კარიერა მართკუში დაიწყო, შემ-
დეგ გააგრძელა ალექსი და ინდონეზიაში. მეორე მსოფლიო
მის დაწყების შემდეგ, ალექსი მონაწილეობას ღებულობს
ნარვიკის (ნორვეგია) განთქმულ სამხედრო-საზღვაო ექსპედი-

ციაში. . საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ის უერთდება
დე გოლის წინააღმდეგობის მოძრაობას და მონაწილეობის „თა-
ვისუფალი საფრანგეთის სამხედრო ძალების“ ეპოქეაში: ერიტ-
რეა, ლიბია, ჩრდილოეთი აფრიკა, იტალიის კამპანია... ამ ბრ-
ძოლებში მისგან გამოჩენილი მამაცობისა და საზრიანობისა-
თვის ის დაჯილდოვებული იყო ბეგრი საფრანგეთისა და მოკა-
ვშირების საპატიო ორდენებითა და მედლებით, მათ შორის:
საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ოფიცრის, სამხედრო ჯვრის,
ამერიკის „ბრონ სტარ“, დიდი ბრიტანეთის „მილიტარი კრონ“
და სხვა. . ალექსიმ სამხედრო სამსახური დატოვა ლეიტენანტ-
კოლონელის ჩინში. .

ალექსი, რომლის მეუღლეც გახლდათ ქეთევან ვაჩნაძე, დაქვ-
რივდა 1973 წელში. . მას ჩჩება ერთი ქალ-ვაჟი: გივი და თა-
მი, რომლებსაც ჩვენს სამძიმარს უცხადებთ. .

საუკუნო იყს ხსენება ალექსი ჩხენკელისა!

თამაზ ნასყადაშვილი

მ წ უ ს ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ საზოგადოებას :

ნიუ-იორკში 1984 წ. 27 დეკემბერს გარდაიცვალა გოორგი
ჯაყელი, დაბადებული თბილისში 1901 წლის 9 ივნისს. .

ნიუ-იორკში 1985 წ. 17 იანვარს გარდაიცვალა საფრანგე-
თის არმიის გადამდგარი კოლონელი ალექსი ჩხენკელი. .

საფრანგეთის ქ. ავინიონში მ. წ. 20; იანვარს გარდაიცვალა
არისტოტელ გველესიანი და დაიკრძალა ადგილობრივად. .

პარიზში მ. წ. 26; იანვარს გარდაიცვალა ქ. ირენ ამილახვა-
რი-მაღალაშვილისა და დაიკრძალა ბურგ-ლა-რენის სასაფლაოზე. .

ავსტრიის ქ. ზალცბურგში მ. წ. 24 თებერვალს გარდაიცვალა

სამგლოვიარო განცხადებები

49

ანტონ ბაინდურაშვილი, დაბადებული 1906 წ. 26. რკვალებული

საფრანგეთის ქ. მალმორში (კორეზი) გარდაიცვალა შალვა
(შალიკო) იაშვილი, დაბ. 1917 წ. რაჭაშვილი დაიკ. ქ. ბრივში.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო ჭირისუფალთ.

პარიზში გარდაიცვალა სომეხი არუნიკ ჯემალიანი. განსვენებული, რომელიც შვილი იყო დამოუკიდებელი სომხეთის პრეზიდენტის, დიდი მეგობარი იყო ქართველების და ქავკასიერთა ერთობის მოციქული. დაკრძალვას, რომელსაც აღგილი ჰქონდა მ. წ. 25 თებერვალს, დაესწრო ქართული დელეგაცია, თავმჯდომარე თამაზ ნასყადაშვილმა შესაფერისი სიტყვა წარმოთქვა და ჩვენი სათვისტომოს სახელით სამძიმარი გამოუცხადა განსვენებულის ოჯახსა და სომხების საზ-ს. *****

მ ე ც ჩ ა მ წ ე რ ე თ ც ხ ო ვ ა ლ ე ბ ი ს ს ი ა შ ი
(ნამდვილი ამბავი)

ჩვენი ოჯახი მრავალშვილიანი იყო, ერთადერთ მარჩენალ მქას უჭირდა მისი შენახვა. მე რაღგანაც უფროსი შვილი ვიყავი, მშობლებმა გადაწყვიტეს, სწავლისთვის თავი დამენებებია, რამე ხელობა შემესწავლა, რომ მამას დაგხმარებოდი ოჯახის რჩენაში და პატარების სწავლაში. ვინაიდან მე სწავლის დიდი სურვილი მქონდა, მშობლების გადაწყვეტილება ნაწილობრივად შეიცვალა. გადაწყვდა, რომ, როდესაც მეათე კლასში გადავიდოდი, სამთვიანი არღადეგების დროს, შემესწავლა რაიმე ხელობა. ასეც მოხდა, როდესაც მეათე კლასში გადავდი, ფეხსაცმელების კერვის შესასწავლად მიმაბარეს კოლა ყზაროვს. ამ უკანასკნელს სოფ. სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის პირველ სართულზე ჰქონდა სახელოსნო. თვით კანტორა კი, მეორე სართულზე იყო მოთავსებული და ირგვლივ დიდი აიგანი ჰქონდა არშიასავით შემოვლებული.



ჩვენთან, სახელოსნოში ხშირად შემოდიოდნენ კოლტექტები, რომლებიც კოლმეურნეობისა და სოფლის სხვადასხვა საკრთხებზე საუბრობდენ და მით მე და კოლა მთელი სოფელ სხვიტორის ცხოვრების კურსში ვიჭვით.

ერთი მშვენიერი დღის ნაშუადღევს კანტორის ეზოში ბევრმა კოლტევრებმა მოიყრეს თავი. ამდენი ხალხი ერთად არასოდეს არ მენახა. ვიკითხე: რაშია საქმე? მითხრეს, რომ დღეს კოლტევრთა საანგარიშო კრებააო, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე იპოლიტე აბრამიშვილი გააკეთებს მოხსენებას კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავალზეო. რაც, როგორც წესი, ასეთი კრებები დიდი შეხლა-შემოხლით მთავრდება ხოლმეო. კ. ჭაროვს ვთხოვე ნება მოეცა მომესმინა კრებისათვის. მითხრა: არ დაგასწრებენო. თუ არ დამასწრებენ, დავბრუნდები-თქო, მივუგე მე.

ისე მოხდა, რომ სიცხის გამო კანტორის კარ-ფანჯრები ლია იჭვნენ და არც იყო საჭირო შიგ შესვლა. ჟველაფერი ისმოდა გარეთ. მავიდას უსხდნენ თავმჯდომარე იპოლიტე აბრამიშვილი, პარტბიუროს მდივანი, ბუღალტერი, მოანგარიშე თავიანთი დავთრებით და რამდენიმე ბრიგადირი. კანტორა ხალხითაა სავსე. იპოლიტემ ილაპარაკა კოლმეურნეობის შემოსავალზე, თუ რა სახის სოფლის მეურნეობის კულტურა რა რაოდენობით მოვიდა, მერე გადავიდა გასავალზე. აღნიშნა თუ რამდენი ჩაბარდა სახელმწიფოს და, რომ კოლტევრებს შრომა-დღეზე დაურიგდათ 50: გრამიონ და ამის შემდეგ თქვა: ცხოველების შესანახად ყველადღე იხარჯებოდა ყველა სახის პროდუქტის ორორი კილოო. ამის თქმა იყო, აღგილიდან წამოხტა გრიგოლ მჭავავარიანი და განაცხადა: „თუ მაგ სწორია, გთხოვთ მეც ჩამწეროთ ცხოველების სიაში“-ო. ამ განცხადების გამო ბომბივით იფეთქა ხალხის სიცილმა. სიცილის გამო ხალხი გარეთ გამოცვიდა, ბალკონზეც ვეღარ ჩერდებოდნენ, დაბლა კიბეებზე კი არ ჩამოდიოდნენ, არამედ მოგორაობდნენ. დიდი სიცილის გამო მუცლები ხელთ ეჭირათ. კანტორის დარბაზში მარტო იპოლიტე და მისი მდივანი დარჩნენ. ეცადნენ

კრების გაგრძელებას, მაგრამ ვერ მოხერხდა, ხალხი უფრო უდიდენი რამდენიმე წუთით სულს მოითქვამდა, მერე ისევ უდიდეს გრძელებას და სიცილს. რომ იტყვიან, სიცილი ხალხში ჩაუქრობელი ცე-ცხლივით გრძელდებოდა. ისიც კი თქვეს, რომ ამდენი სიცი-ლი იმის ნიშანია, რომ რაიმე ცუდი ამბავი მოხდება. ის მოხდება, რომ იპოლიტე გრიგოლს გააციმბირებსო, უპასუხა იპოლიტეს ცოლიძმამ.

ეს ამბავი რაიონის ცენტრამდე და თბილისამდეც კი მისწ-ვდა. თურმე მატარებლებშიც კი ხალხი ამ შემთხვევაზე ლა-პარაკობდა. გრიგოლის წამოძახილს ხალხი აფორიზმივით იმ-ეორებდა. იპოლიტემ გადაწყვიტა ამ საქმისთვის პოლიტიკური სარჩული მიეცა. არ გაუცლია ერთ კვირეს, რომ გავიგეთ, გრიგოლი დაუპატიმრებიათო და თბილისის ციხეში გაუგზა-ვნიათ, ვინაიდან ამ საქმეს პროცესურატურა და მილიცია კი არა, არამედ, როგორც პოლიტიკურ ხასიათის დანაშაულს, კაგებე იძიებსო. ჩვენ სახელოსნოში მოსულები, ვინ რას ამ-ბობდა და ვინ რას : — შეიძლება ამ საქმეს გრიგოლი გადაუ-ვეს, მაგრამ ხალხისთვის კარგი შედეგი გამოიღოს, იქნებ სხვა თავმჯდომარე დააჭრონ და შრომა-დღეზე უფრო დიდი რაოდენობის პროდუქტი დაარიგონ, ამბობდნენ ერთნი. — არავითარი საშველი ჩვენ საქმეს არ დაადგება ვინც არ უნდა დადგეს, თუ ადრე სოფელს ერთი ღვდელი ყავდა სარ-ჩენი, ახლა ოცდაათი ეშმაკი ყავს, დაწყებული მილიცია-პრო-კურატურა-რაიკომი და სხვა, ამბობდნენ მეორენი.

— გრიგოლი ნამდვილად გადაჭვება ამ საქმეს, იპოლიტეს რომ ხალხი არ ყვდეს ცეკაში, გლახაკ ზაქარიას ბიჭს ვინ აი-რჩევდა თავმჯდომარედ, ამბობს მავანი. .

— მე კი მგონია, პასუხობს მეორე, რომ არც გრიგოლია უპა-ტრონო, მაგარი ნათესავები ჰყავს, მერეა და, სასამართლოს საქმეა გრიგოლის ბედი და არა ცეკასი. .

— შენც გცოდნია კიდე, უპასუხებს სხვა, რის სასამართლო? ვინ კითხავს სასამართლოს? თუ უნდათ ტროიკას დანიშნავენ და გათავდა! ანდა სასამართლოც რომ იქნეს, როგორ? სასამართლო არ ემორჩილება ცეკას თუ რა?

სასამართლოც ხომ ცეკის მიერ შერჩეული ხალხისგან შემდგება. — მოქმედით თუ ძმა ხართ ამ ლიტარაკებს, თუ გინდათ გარეთ იღაპარაკეთ გაიგებს იპოლიტე და გამაგდებს აქედან, ეველრებათ კოლა ყზაროვი. ნუ გეშინია, შეიძლება გრიგოლი გა-აციმბირონ, მაგრამ აღარც იპოლიტე დარჩება თავმჯდომარე-დო, ამშვედებდნენ ყზაროვს.

გრიგოლის ნათესავებმა თბილისში აღვოკატი აიყანეს, რომე-ლმაც შეისწავლა საქმე და თხოვა გრიგოლის ნათესავებს, თუ შეძლებდნენ შეეგროვებიათ კოლმეურნეობის თავჯდომარის, ბუღალტრის, პარტკომის სურათები, ჩუმათ მოეპარათ აღ-ბომებიდან თუ სხვა ადგილებიდან ისინი და ასევე სურათე-ბი გადაეღოთ კოლმეურნეობის ცხოველებისთვის.

გრიგოლის ნათესავები მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და, რო-ცა ჭელა ეს სურათები შეაგროვეს, აღვოკატის ყურადღება მი-აქციეს, შეხედეთ თუ როგორი ჩასუქებული არიან კოლმეურნე-ობის ხელმძღვანელები. და რას ჰეგანან კოლმეურნეობის ცხო-ველებიო.

აღვოკატმა საჩივარი დაწერა რესპუბლიკის პროკურორის სახელზე და მოითხოვა დაენიშნათ საბუღალტრო და სასაქონ-ლო ექსპერტიზა. მიუთითა ასევე, რომ გრიგოლ მაჭარაშვილის სიტყვას არ ჰქონია პოლიტიკური ხასიათი და, რომ გრ. მაჭა-რაშვილმა არა ერთი განცხადება დიწერა საქ. ცეკას სახელ-ზე, რათა მიექცია ზემდგომი ორგანოების ყურადღება, კოლ-მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ბოლოს გადაწყვიტა, რომ იქნება მის მიერ უნდართვოდ წამოსროლილ სიტყვებს გამოეღო რაიმე შედეგი. მართალია, არა სწორად მოიქცა მაჭარაშვილი, რომ კრების თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ უნდა გამოეთ-ქვა მისი აზრი, ასეთი უნდა ეთქვა მას, როცა თავმჯდომარე დაამთავრებდა მის მოხსენებას და დაიწყებდნენ კამათს მოხ-სენების ირგვლივ. მაჭარაშვილის მიერ უადგილო კამათის და-წყება არ წარმოადგენს დანაშაულს. მას უნდა მიეთითოს, რომ შემდეგში არ დაუშვას კამათი, თვით ძირითადი მოხსე-



ნების დამთავრებამდე.

რესპუბლიკის პროცესურატურამ დანიშნა საბუღალტრო საქონლო ექსპერტიზა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კოლმეურნეობის საბუღალტრო საქმიანობაში უწესრიგობას ჰქონდა აღილი, არეულ-დარეული იყო შემოსავალ-გასავალი; ამიტომ ძნელი დასადგენია, აქვს თუ არა ადგილი საკოლმეურნეო ქანების დატაცებას კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მიერ. ასეთი დასკვნის შემდეგ გრიგოლი გაანთავისუფლეს პატიმრობიდან და პარტიშიც აღადგინეს. გაზეთში კი დაწერა: „კოლმეურნეობის საბუღალტრო საქმიანობაში არევ-დარევის შეტანის გამო განთავისუფლებული იქნა სამუშაოდან ბუღალტერი და მოანგარიშე, კოლმეურნეობაში ჩატარდება ახალი არჩევნები.“

ასე დამთავრდა გრიგოლ მაჭარაშვილის საქმე, მის მიერ წამოსროლილი სიტყვები კი დარჩა საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველ კლასიკურ გამოთქმად.

მიხაკო საჩხერელი
ისრაელი, 25.2.85.,

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ე ბ ი

ა) შევარდნაძე იმუქრება

როგორც გუშაგის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, საქართველოს ინტელიგენციის ბევრმა თვალსაჩინო წარმომადგენერალმა, მათ შორის, მწერლებმა, მხატვრებმა, კინორეჟისორებმა, უმაღლესი სასწავლებელების რექტორებმა, სამეცნიერო აკადემიის წევრებმა და თვით უმაღლესი საბჭოს ზოგიერთმა დეპუტატმაც, კოლექტიური ხელმოწერილი პეტიციით მიმართეს სსრკ კომპარტიის გენ. მდივანსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, კ. უ. ჩერნენკოს, რომელშიც ხელის მომწერლები მას თხოვენ, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ სიკვდილმისა-ჯილებს: მღვდელ თეომურაზ ჩიხლაძეს, ექიმ ძმებს: პაატა და კაზა ივერიიელებს და კინომსახიობ გერმანე კობახიძეს, რომ-

ლებიც თვითმფრინავის „გატაცების“ ცდაში მონაწილეობრივ მონაცემების შეწყლებული იქნენ, სასჯელის უმაღლესი ზომა პატიმრობით შეეცვალოთო. .

გასული წლის 13 სექტემბერს, „რეიტერის“ და „ასოშიერებრე პრეს“ საინფორმაციო სააგენტოებმა, ისევ მოსკოვის დისიდენტთა წრიდან მიღებული ცნობების თანახმად, გაავრცელეს ცნობა, რომ საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა ედ. შევარდნაძემ პეტიციაზე ხელის მომწერლები გამოიძახა და მათ მოთხოვა უკან წაეღოთ პეტიციაზე მათი ხელის მოწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მათ დაემუქრა. ზოგიერთი შეშინდა, უკან წაიღო ხელის მოწერა, მაგრამ დიდი უმრავლესობა ერთგული დარჩა პეტიციის. .

***.

ბ) სიკვდილმისჯილთა ბედი გამოურკვეველია

ამ წლის 2 თებერვლის გაზეთ „ლე მონდ“-ში დომინიკ დომბრი მოსკოვიდან იტყუბინება, რომ იქ გავრცელებული ხმების მიხედვით: „4 ქართველი საჰაერო მექობრე, რომელთაც სიკვდილი მიუსაჯა სასამართლომ, 1983 წლის ნოემბერში თვითმფრინავის გატაცების ცდის გამო, დაახლოებით 2 თვის წინად მოჰკლესო. ბ. დომინიკ დომბრის ეს ცნობა ემთხვევა გუშაგის უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ ჩვენს ცნობას, რომლის მიხედვით სასჯელის აღსრულებას ადგილი ჰქონდა გასული წლის 4 ნოემბერს. .

ბ. დომინიკ დომბრის მიხედვით 1 თებერვლისათვის კიდევ შეუძლებელი იყო დანამდვილებით თქმა იმის, რომ სიკვდილის სასჯელი მართლაც იყო მოყვანილი სისრულეში. ასეთი ხმები უკვე მერამდენიმედჯერ გავრცელდა აქ და შესაძლებელია, მათი დანიშნულება მოსინჯვა საზოგადოების რეაქციისა. ამავე დროს, სიკვდილმისჯილთა მშობლებს იმედი არ დაუკარგავთ. 4 სიკვდილმისჯილი უკანასკნელად იმყოფებოდნენ მაგალანის საკონცეტრაციო ბანაკში, რომელიც უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, კოლიმას რაიონშით, უმატ-

ებს ფრანგული „ლე მონდის“ მოსკოველი კორესპონდენტი უდი
სულ უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მარტის თვეში იმყენებუ
ანასკნელ რიცხვებში ლონდონის ამნესტი ინტერნაციონალს
ჰქონდა სარწმუნო ცნობები, რომ სიკვდილმისჯილი ქართვე-
ლები ცოცხლები იყნენ..

გ) ქართველი ქალები მოწინავე პოზიციებზე?

გასული წლის 26. დეკემბერს „ფრანს პრესის“ სააგენტოს
მიერ გაგრცელებული ცნობის მიხედვით, რომლის წყაროდაც
ის თბილისის დისიდენტთა წრეს ასახელებს, თბილისში აღგი-
ლი ჰქონებია სასამართლო პროცესს, რომელსაც სამ ქართვე-
ლისთვის სასჯელი გადაუწყვეტია. და ბრალდებულებს მაშინა-
თვე გაუსაჩივრებიათ. არც ბრალდებულთა ვინაობა და არც
მათი სასჯელის ოდენობა ცნობილი არ არის. ფრანს პრესის
მიხედვით ისინი დაპატიმრეს 1984 წლის იანვარში და მათ
ბრალად ედებოდათ პოლიტიკური ჯგუფის შექმნის ცდაში,
რომლის სახელწოდება იყო „ქალები საქართველოს დამოუკი-
დებლობისათვის.“ („ლე მონდ“ 28.12.84.)

დ) დაპატიმრებები ჯაშუშობის ბრალდებით

ისევ 26. დეკემბრის „ფრანს პრესის“ სააგენტოს ცნობის
მიხედვით, დეკემბრის პირველ რიცხვებში, საქართველოში,
კერძოდ ჭ. რუსთავეში დუპატიმრებიათ 9 კაცის ჯგუფი,
რომლებსაც ბრალად ედებათ ჯაშუშობა ამერიკის დაშვერ-
ვის სასარგებლოდ. დაპატიმრებულთა შორის ყოფილა ქალაქის
დიდი მეტალურგიული ქარხნის კომპანიის პასუხისმგებელი
პირი. გაზეთი „ლე მონდი“ ამასთან დაკავშირებით მკითხვე-
ლებს უხსნის, რომ სახელმწიფო ჯაშუშობის ბრალდება, სა-
ბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ითვალისწინებს სასჯელ-
ის უმაღლეს ზომას—სიკვდილსო. [„ფიგარო“ 27 და „ლე მონდ“
28 დეკემბერი 1984 წელი]

***.

ე) ერთი მისტერიული სიკვდილი მოსკოვში



ფრანგულმა გაზეთმა ფიგარომ (17.12.84.), დაბეჭდა მისი მოსკოველი წარმომადგენლის კორესპონდენცია ბრეჟნევის შინაგან მინისტრის, გენერალ ნიკოლა შოლოკოვის უცნაური გარდაცვალებისა და ფარული დასაფლავების შესახებ, რომელიც მან სრულიად შემთხვევით გაიგო.

13 დეკემბერს უცრად გარდაცვლილი შოლოკოვი, 48 საათსაც არ გაევლო, რაც ჩუმად მოსკოვის ერთ-ერთ ჩვეულებრივ მოკვდავთა სასაფლაოზე დამარხეს ისე, რომ, რუსული წესის წინააღმდეგ, კუბოს თავი დახურული იყო, ხოლო დასაფლავებას პოლიციელები უფრო მეტი ესწრებოდენ, ვიდრე ჭირისუფლები.. 73 წლის ასაჭი შეუძლებელი არაა კაცი ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილიყოს, მაგრამ შოლოკოვის უკანასკნელი ხანის თავგადასავალი, მისტერიული სიკვდილი და დასაფლავება საწინააღმდეგოს მეტჯალებს.

შოლოკოვი ბრეჟნევის გადიდებაცემული და გამინისტრებული კაცი იყო, მან სცადა პატრონის ბოლომდე ერთგული ჭაფი-ლიყო და შესაძლებელია, რომ სწორედ ამან დაღუპა იგი.. 1982 წელში, როცა ბრეჟნევის პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხი ჩუმად წყვებოდა კრემლის შიგნით, თუ მის კედლებს გარეთ, მოსკოვის ქუჩებში ხმები ირხეოდენ სენსაციური სკანდალის შესახებ, რომელიც ბრეჟნევის ოჯახს და კერძოდ მის გათხოვილ ქალიშვილ გალინას ეხებოდა.. კაგებეს ორგანოებმა დააპატიმრეს სსრკ-ს ცირკის დირექტორი, რომლის საჭარელი და მფარველი გალინა ბრეჟნევი იყო.. იგი უზარმაზარ მასშტაბში ეწეოდა მექრთამეობას, უცხოეთის დევიზების და ოქრო-ბრილიანტების ტრაფიკს, რომლის დიდ ნაწილს ის ვითომ გალინას უჭირდა..

შოლოკოვი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი წინ აღუდგა კაგებეს მოქმედებას, მისი პატრონის ღირსების დაცვის მიზნით.. გალინა ციხეს გდაარჩინა და მომაკვდავი ბრეჟნევი სირცეგილს, მაგრამ საბოლოოდ თავი კი წააგო..

იური ანდრობოვის ბანაქმა გომარჯვა, ჩერნენკოსი დამარცხდა.. როგორც კი იური ანდრობოვი კრემლის ბატონი გახდა ერთ თვეში მან მინისტრობიდან გადაყვნა შოლოკოვი და

მისი საქმე გამოძიებას გადასცა. ანდროპოვს ხელმწიფოუნიკი არ დასცალდა, მალე უკურნებელი სენით ლოგინალი ჩავარდა, ისევ იძალა ბრეჭნევ-ჩერნენკოს ბანდამ, შოლოკოვმაც ცოტა შვებით ამოისუნთქა, ცხრა თვის განმავლობაში მისი საქმე აღარავის გახსენებია, მაგრამ მალე ჩერნენკოს მემკვიდრეობის საკითხიც დაისცა და ისევ ანდროპოვის „შაკაპ“ იმარჯვა, ჩერნენკოს სიკვდილის შემდეგ კრემლის ტახტზე უნდა ავიდეს გორბაჩივი და მომაკვდავი ჩერნენკო ვეღარ იფარავს შოლოკოვს, რომელსაც ნინებერს გენერლობის ჩინს ახდიან, რის შემდეგაც მას ვეღარაფერი ვეღარ დაიფარავს დაპატიმრებისა და ტრიბულალის წინაშე წარდგომისაგან. ასეთ პირობებში მისი მისტერიული გარდაცვალება-დასაფლავება, მოსკოველთა შორის იწვევს. სხვადასხვა განმარტებას: ერთნი ამბობენ, შოლოკოვმა თავი მოიკლა მოახლოებული და პატიმრების შიშითო; სხვებს კი პგონიათ, რომ ან თვით კაგებემ მოჰქმდა იგი, ანდა მას თავი მოაგვევინა.

საბჭოების ამ ერთ-ერთი შავ-ბნელი ისტორიიდან ერთი საგარაუდებელი დასკვნის გადეთება შეიძლება: კრემლის მმართველ წრეში, ორი ერთმანეთს დაპირისპირებული ხროვა, მაფიის წესის თანახმად, გარეთ ისინი შეთანხმებულად მოქმედობენ, შიგნით კი ერთმანეთზე მიიწვევენ შიშველი ხანჯლებით.

ე გ ნ ა ტ ე ნ ი ნ თ შ ვ ი ლ ი

(გასულ წლის მაისში 90:წ. შესრულდა ჩვენი სახელოვანი მწერლისა და მესამე დასის ერთ-ერთი ფუძემდებლის ეგნატე ინგოროვა-ნინოშვილის გარდაცვალებიდან და 18 დეკემბერს 125 წლისთავი მისი დაბადებიდან. ამ თარიღების აღსანიშნავად, ქვემოდ გთავაზობთ ბატონ რაჭელიშვილის წერილს, რადიო „თავისუფლების“ მასალებიდან. გუშაგი)

საქ-ს ხელისუფლებამ გადაწყიტა ეგნატე ნინოშვილის დაბადების თარიღი რატომდაც ოქტომბერში აღენიშნა. ჩვენც გვსურს მწერლის დაბადების და გარდაცვალების თარიღებს



მოკლედ მაინც გამოვეხმაუროთ. .თავს არ შეგაწყვნას ბითგული რაფიული ცნობების დაწვრილებითი გადმოცემით დრ გრუმისი სრული შემოქმედების ვრცელი მიმოხილვით. .

ურუვი ფაქტი და ჭეშმარიტი სიმამდვილე კი ისაა, რომ ეგნატე ნინოშვილმა ქართულ მწერლობაში თავისი უცილობელი ადგილი დაიკავა. .სხვა ეგნატე ქართულ სიტყაყაზმულ ლიტერატურას არ ყავს, —ისაა ერთადერთი. .

ის რომ სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა (მისი პირველი მოთხოვბა, უკეთ: იუმორისტული ფელეტონი: 1887 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“), ქართულ პროზას უკვე სახელოვანი მწერლების ნაწარმოებნი ამშვენებდნენ, და თითქოს ეგნატეს წინამორბედნი და გზის მკვლევნი უნდა ჰყოლოდა და იგი მართლაც ღრმად იყო ჩახედული ქართული ლიტერატურის საგანძურებელი. .მაგრამ იგი მაინც დამოუკიდებელი იყო თავისი საკუთარი მოთხოვბებით. .განუმეორებელია მისი : „ჯანყა გურიაში“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „ქრისტინე“, „მოსე მწერალი“, „გოგია უიშვილი“, „სიმონა“, „პალიასტომის ტბა“, „პარტახი“, „განკარგულება“, „ულნაური სენი“, „არშიქი“ და სხვანი. .

ეგნატე ნინოშვილს რევოლუციონერ-დემოკრატს უწოდებდენ. არსებული რეჟიმი იმასაც კი შეეცადა, რომ იგი პროლეტარულ მწერლად მოენათლა, რაც რასაკვირველია სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, .რაღაც ნინოშვილის მოღვაწეობის დროს „პროლეტარიატი“, როგორც ასეთი არ არსებობდა. . არ არსებობდა „მუშათა კლასი“ მარქსისტული გაზებით. . ბათუმის და ფოთის ნავთსაღვურებში მომუშავენი იჯნენ გლეხები, რომელიც დამატებითს შემოსავალ წყაროს ეძებდნენ და ღროებით ტოვებდნენ სოფელს და მსახურობდნენ მტვირთავებად, გემზე მეცეცხლურებად და სხვა. .ხოლო ეს კი არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა მათს „პროლეტარობას“ დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიული შემეცნებით. .თვით ეგნატეც კი—ფიზიკურად ეს სუსტი ადამიანი—მტვირთავ მუშად იყო ერთ ხანს და მძიმე კურტნით ხუთ-ექვს ფუთ ბარგს ეზიდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე.

მას თავის საკუთარ ზურზე ქონდა განცდილი ცხოვრებები
მთელი სიმძიმე. ჭითურის მარგანეცის მრეწველობის—მქონები
იყივე გლეხები იყნენ, ახლომახლო სოფლებიდან დროებით
ჩამოსულნი, დამატებითი შემოსავლის საძებნელად. არც სხვა-
გან ჩანდა ე. წ. სამრეწველო მუშათა კლასი. თვით ეგნატე
ტიპიური შვილია მშრომელი ხალხისა, გლეხობისა, სოფლის
მუშაკთა, ადამიანი, რომელიც მის შუაგულში ტრიალებდა და
მის კირვარამს, ლხინსა და რუდუნებას იზიარებდა, და სწო-
რედ თავის ნაწარმოებებში იგი აღწერს გლეხთა ცხოვრებას,
მათ სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, ბიუროკრატიული
მმართველობის უდიერობას მშრომელი ხალხის მიმართ,— ცარი-
ზმის მსახურთა სისასტიკესა და აღვირახსნილობას უბრალო
ადამიანთადმი დამოკიდებულებაში. .

თვით ნახევრად ისტორიულ დიდ მოთხრობაში (რომელსაც
რატომღაც რომანს უწოდებენ) „ჯანყი გურიაში“ ეგნატე
ნინოშვილი სოციალ-ეკონომიურ საფუძვლებს და ურთიერთო-
ბებს ეყრდნობა და ამ თხზულებაში არსად არ ჩანს ეროვნუ-
ლი იდეები და იდეალები, ერის უფლებათა მოთხოვნა, ერის
განთავისუფლებისა და დამოკიდებლობისაკენ მისწრაფება. .

ნინოშვილი მეტად შავი ფერებით აღწერს ხალხის ცხოვრე-
ბას და აჭარბებს კიდეც თითქოს გლეხთა, მშრომელთა ცხოვ-
რებაში უბრალო ნათელი სხივიც კი არ ბრწყნავდა. ჭავე-
ლი მისი მოთხრობა უიმედობით და უპერსპექტივობითაა გა-
ნმსჭვალული და ჭაველი მისი გმირი დამარცხებული იღუპება. .
ნინოშვილი ღრმა პესიმისტია, მაგრამ უაღრესად მართალი,
გულწრფელი, პატიოსანი, რეალისტი, პირდაპირი, უბოდიშო
და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული. თქვენ ვერასოდეს ვერ
იტყვით, რომ მისი გმირები ფანტაზიის ნაყფია, გამოგონი-
ლი, შეთხზულ-შეთითხნილი სუბიექტიური. პიროვნების მიერ,
რომ მის ნაწარმოებთა ეპიზოდები არაა ცხოვრებისეული,
ნამდგილი, კეშმარიტად მომხდარი ამბები. პირიქით, ნინოშ-
ვილის ჭაველი მოთხრობა სწორედ რომ სინამდვილიდან მომ-
დინარეობს. ამიტომ მისწვდა იგი ქართველი ადამიანის სულ-
სა და გულს, შესძრა და ააფორიაქა მთელი მისი არსება და

მკითხველმა წრფელი სიჭარულით აღიქვა ეგნატე ნერიშვილი როგორც მწერალი-ჰუმანისტი და კაცომოფუარე. პირდაპირ ეგნატეს თავიდანვე ქონდა აღებული გეზი და მისთვის ბოლომდე არ უღილატნია: „მოთხოვბებში ვცდილობთ შეძლების-დაგვარად დავხატოთ ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყულები“, წერდა იგი. ცხოვრებას ხომ ნათელი მხარეც აქვს. ვინ გაჰყო დღე და ღამე, ბნელი და ნათელი. გავიხსენოთ ქართული ხალხური ლექსი: „წუთისოფელი ასეა: ღამე დღეს უთენებია, ასც მტრობას დაუნგრევია, სიჭარულს უშენებია.“ თავისდა შეუცნობად ნინოშვილიც ამ ხალხურ ფილოსოფიურ მრწამს მისდევდა და მიჰყებოდა. „ჯანყ გურიაში“ მან მკვეთრად დაუპირისპირა გლეხობა თავადაზნაურობას, ე.წ. მე-მამულებს, ცარიშმის მოხელეებს, მაგრამ გვერდი ვერ აუარა ნათელს.. ამბაკო შალიკაშვილი აზნაური იყო, რომელიც გლეხებს მიემხრო და მათი ერთ-ერთი ლიდერი იყო! აზნაური იყო მეორე გმირიც-სიმონი. ისინი მოღალატეთა ხელით იღუპებიან, და ეს შინაგამცემლები ნინოშვილმა სწორედ გლეხობიდან გამოიყანა: კოზია და ივანიკა ლაჩრულად, ზურგიდან მიპარვით კლავენ ერთ-ერთ ლიდერს- გლეხ ბესია აბესაძეს და აზნაურ სიმონს.. აქ ჩანს ცხოვრებისეული მიუდგომლობა ავტორისა და ცხოვრების ნათელი მხარე!

განა ცხოვრების ნათელი მხარე არაა, რომ დაობლებული პატარა ეგნატე ბიძამ და მამიდამ აღზარდეს? ეგნატეს დედა, რომელიც ეგნატეს დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა, იყო ნინო, მაგრამ აღმზრდელ მამიდასაც ნინო ერქვა, და სწორედ მამიდის ამაგის დასაფასებლად ეგნატე ინგოროვამ სამწერლო ფსევდონიმად მიიჩქვა „ნინოშვილი“. განა ცხოვრების ნათელი მხარე არაა, რომ ნათესავ-მეგობრებმა ეგნატეს შეუგროვეს ფული და 1886 წელს გააგზავნეს საფრანგეთში სწავლის გასაღრმავებლად პარიზსა და მონპელიეში? განა ცხოვრების ნათელი მხარის ამსახველი არაა, რომ უცხოეთიდან დაბრუნებული ეგნატე ქ. ოზურგეთში დიდი ფეოდალის, თავად გრიგოლ გურიელის სასახლეში იქნა მიწვეული პირადი მდივნის თანამდებობაზე? გურიელის სა-

სახლეში ეგნატე დაეწაფა საგვარეულო ბიბლიოთეკის, მდიდარ არ წიგნთსაცავს, რომელშიც იშვიათ წიგნებთან ერთდაც ცული იყო საინტერესო ხელნაწერები და არქივი, რაც ეგნატემ კარგად და უხვად გამოიყენა „ჯანგ გურიაში“.. განაცხოვების ნათელი სახე არაა, რომ ეგნატეს დიდად უწყობდნენ ხელს თედო სახოვია, ზაქარია ჭიჭინაძე (რომლის ბინაზე იგი უსასყდლოდ ცხოვრობდა), გიორგი წერეთელი, დიდი იაკობ გოგებაშვილი და სხვანი? მას ფართოდ გაულო კარი „ივერიამ“ და „კვალმა“, ასევე დიდ დახმარებას უწევდა წერაცითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ამ შესანიშნავი დაწესებულების მესვეურნი.. უკვე ტუბერკულოზით დავადღებულ და სიკვდილის პირას მისულ ეგნატეს დიდ აურადლებას აპყრობდა იაკობ გოგებაშვილი და მატერიალურად აც ეხმარებოდა.. თანაც სწერდა, რომ მისი (ეგნატეს) მოთხოვნების კითხვა მას(იაკობს) „დიდ კმაყოფილებას მაგრძნობინებსო..“ ეგნატეს დიდად აფასებდა და პატივს სცემდა მაქსიმ გორგი.. 1891 წელში, თბილისში, გორგის ეგნატესთვის უთქვამს: „ბედნიერი ხარ, რომ შენს ნაწერებს იცნობს ხალხი და ასეთი სიყვარული დაგიმსახურებიათ..“

ეგნატე 35 წლისაც არ იყო, როცა მძიმე სენმა იგი იმსხვერპლა..

იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე ასე ახასიათებდა ნინო-შვილის შემოქმედებას: „(იგი) დაჯილდოვებული იყო ნამდვილი მხატვრული ნიჭით და ამ ნიჭის ბეჭედი ცხადად აზის ჟელა მის მოთხოვნასა.. ამავე დროს ეს მოთხოვნები სავსენი არიან ხალხის სიბრალულით, თანაგრძნობით, სიყვარულით; გაუღენთილნი არიან ნამდვილი დემოკრატიზმით.. იგი მარტო ერთს მოთხოვნაში კი არ აცხადებს პროტესტს ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ... არამედ პხატავს ამ პროტესტს ჟელა თავის მოთხოვნაში, ჟოველს სტრიქონში, ყოველს გვერდზე.. იგი ნამდვილი მწერალია, ნამდვილი ბელეტრისტი, მოწოდებით მომუშავე სალიტერატურო ყანაში..“

ახალი ქართული ლიტერატურისა და მწერლობის თვალსაჩინო კრიტიკოსი ბესო უღენტი ჩიოდა, რომ ეგნატე ნინოშვილი



ხალხოსნური პოზიციებიდან თუმცა მნიშვნელოვნად იყო წინ წასული, „მაინც არ იყო ამაღლებული რეკოლუციური მარქსიზმის მოძღვრებამდე“ და თავის ჩივილს ის სინაცულით აღსავს წუწუნით ამთავრებს, ამბობს რა შემდეგს:

„მართალია, ეგნატე ვერ მოესწრო საქ-ში მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის გაშლას, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დროშით, მაგრამ ეს მოძრაობა დაიწყო რამდენიმე წლის შემდეგ დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლებისა-ლადო კეცხოველისა და ალექსანდრე წულუკიძის მეთაურობითო.“ სტალინის ეპოქამ მრავალი მწერლის სიცოცხლე შეიიწირა და ეგნატე რომ მოესწრებოდა ამ საუკუნის ოცდაათიან წლებს, ვინ იცის როგორ გაათავებდა თავის სიცოცხლეს, როცა ინილავდა მშრომელი გლეხობისა და მათი ჭიფაცხოვრების სრულ განადგურებას კომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკითა და ტერორით.

მაგრამ რასაც ეგნატე ვერ მოესწრო, ახალმა რეჟიმმა მის ნაწარმოებებს დამართა და თვითნებურად, მოძალადურად, უხეშად აღამაღლა „რევოლუციურ მარქსიზმამდე“. საბჭოთა რეჟიმმა ნინოშვილი ჟელაზე ეფექტურად გამოიყნა სწორედ იმის გამო, რომ იგი შავი ფერებით, ტრაგიზმით აღწერს გლეხთა ცხოვრებას. ბევრი მისი ნაწარმოები სახეცვლილი ტენდენციურად გაასცენიურეს, კინოფილმებითა და თეატრალური სცენებით. კორე მარჯანიშვილის სახელობის დრამატიულ თეატრში დადგეს სპექტაკლი საერთო სახელწოდებით „ნინო-შვილის გურია“. აქ თავი მოუყარეს ჟელა მისი მთავარი ნაწარმოების გმირებს და ისე აამერიკელეს და აამოქმედეს ისინი, როგორც სურდათ, რათა ეჩევნებინათ „რევოლუციური მარქსიზმი“. ეს გმირები აღარ ჰქვანდნენ ნინოშვილის გმირებს. სცენაზე აღარ ჩანდა ნინოშვილის გურია, არამედ რაღაც სხვა დიდი სიმახინჯე, სიყალბე, პაროდია, ცინიზმი. სწორედ ცინიკურად გამოიყნეს მოთხრობის გმირთა ავტორი-

სეული გვარები: უიშვილი, მუჯაძე, მკლავაძე, მცირეშვილი
ლი, დალაძე, დროიძე, უქმაძე, უნათლოშვილი და მრავალი საგვარებელი
სხვა. მრავალთაგან ერთს შეგახსენებთ მაგალითით საფიქის. მო-
თხოვთ „სიმონაში“, სიმონა დალაძის მეუღლე დარიკო, პა-
ტიოსანი მეოჯახე კეთილი ქალი, შეურაცხყაფილი და ნამუს-
ახდილი დავით დროიძის ვაჟის, ტიტიკო დროიძის მიერ, თა-
გს იღრჩობს მდინარეში. საბჭოთა კინომატოგრაფიამ კი ისე
შეცვალა ჭელაფერი, რომ მსგავსება საცხებით გაქრა დარი-
კო კბილებამდე შეიარაღებული, ჩოხოსანი, თავზე ყაბალახ-
წაკრული, არწივიგით დაპქრის და სიმონაზე ნაკლებ კი არა,
უფრო მეტად მუსრს ავლებს მეფის დაქაშ მოხელეებს, თა-
ნაც წერიალი ხმით, ცხენზე ამხედრებული, ომაზიანად მღე-
რის: „ჰეეე, ჰე! დარიკო ვარ გლეხის ქალი, და! ჰეეე, ჰე!
დარიბი და ფერმიმკრთალი, და! ხალხის მტრების სასიკვდი-
ლოთ მომაქვს ტყია ცეცხლის ალი!“ მშვენიერ, სახეტურფა
და კეთილაღნაგი მსახიობი თამარ ციციშვილი ასრულებს ახა-
ლი დარიკოს როლს და სრულებით არ ეტყობა „ფერმიმკრთა-
ლობა“ ისე აქვს ვარდისფრად გაშლილი სახე! და „დარიბობა“
სულ არ ემჩნევა მის ცხენს, თვით მის ჩოხა-ახალუხსა და
მოსევადებულ ქამარ-ხანჯალ-ხმალსა და თოფ-დამბაჩას. ყაბა-
ლახიც ძვირფასი და წუღა-მესტები ხომ კიდევ უკეთესი.
ფილმში დარიკოს გაუპატიურება სულაც არა ჩანს და ჭავე-
ლი კადრი ისეა დაშორებული ეგნატესეულ სიუკეტურ გააზ-
რებას, როგორც ცა დედამიწისაგან. — ეგნატე რომ მკვდრე-
თით აღსდგეს და შეახვედრო მის „გმირებს“ — რასაკვირველ-
ია, ვეღარცერთს ვეღარ იცნობს, განსაკუთრებით დარიკოს.
„დარიკო ხარ, ცაგ, მე მეგონა. წყალში გადავარდი და თავი
დაიღრჩვე ! რაია აგი, რაფერაა აგი, ნენა, ნენა, წავხთი
გაცი“ — იტყოდა ეგნატე.

რეჟიმი, რასაკვირველია, მარტო ეგნატეს როდი მოექცა ასე.
მრავალ მწერალს, პოეტს, მოღვაწეს, მეცნიერს შეუცვალეს
თვითნებურად ბევრი არა. გალაქტიონს მტვერში გადაუყრეს
ბევრი შაირი, შეუცვალეს ტაეპები, ამოუშალეს ტექსტიდან
სტრიქონები, შეუტრიალეს ცალგეული. სიტჟებიც კი ! მაგ-

რამ ჩვენთვის გალაქტიონი გალაქტიონად დარჩა დარჩენაზე
ეგნატედ ! ეგნატე ნინოშვილმა თავისი საკუთარი სიტყვა
თქვა ქართულ მწერლობაში და ქართველმა მკითხველმაც იგი
ამიტომ შერაცხა საუკეთესოთა შორის . ასეთად ვიხსენებთ
მას მისი დაბადების 125 და გარდაცვალების 90 წლისთავზე .

თედო რაჭველიშვილი
ვაშინგტონი, 1984.,

პ თ ე ჭ ი ა

ლევილის სასაფლაოზე

პარიზი იხდის ნისლის სამოსელს,
შიშველ ძეგლებით მხვდება ლევილი....
და მეტირება მგზავრად აქ მოსულს,
მეც უცხო გზებზე დავძრწი დევნილი !

ძმათ სასაფლაოვ, გამიღე კარი,
ქართველი დედის მომაქვს ცრემლები....
მსურს ჭელა საფლავს ვაპკურო ცვარი;
მეც აქ დამმარხეთ, როს დავეცემი !

მიწა გრუხუნებს, ქუხს კვლავ ლევილი
აქ წაქცეულთა კოშმარის ალში....
თქვენი გოლგოთა, ჯვარცმა, დუმილი
ვაი დასრულდა გზა ხეტიალში !

ძმანო ქართველნო ! ვიტიროთ მათზე
დღეს ჩემთან ერთად, მომეცით ბანი....
ნუ ეძებთ ნოეს თქვენ არარატზე,
აქ ასვენია ის კიდობანი !

***** * * * * *
აშ დამსხვრეული ის კიდობანი !....

თ . მ ე - თ
1980 წელი



შ მ ი ნ დ ა მ ნ ი ნ ა !

შენ მოეგლინე ჩვენს ქვეყნას დიდ შუქმფენ სანთლით,
ნათელი მოსდე ტანჯული მხრის ოთხივე კუთხეს,
ქრისტეს მცნებებით აზიარე ქართველი ერი—
დიდი, პატარა, ქალი და კაცი ლოცვა, აკურთხე.

დაბრკოლებები გადიტანე ქალურ სიმტკიცით,
ზღაპრულ გზა-მანძილს არ შეუდრეკი, ფეხქვეშ გათელე;
კაცომსახურება - სიყვარულის მუდმივ ფიქრებში
დღეები ლიე, ღამეები თეთრად ათენე.

საიდან მოხველ? ვინ იყავი? კარგად არ ვიცით.
იქნებ ადგილზედ დაიბადე ტურფად ნაზარდი,
სულ ერთი არის, თაყვანსა გცემთ, გაქებთ, გადიდებთ;
ჩვენს არსებობას მიეც აზრი, შნო და ლაზათი.

შენი სიტყვები ხალხისადმი ტკბილად ნაფრქვევი
უფრო მჭრე იყო, ვიდრე ხმალი ბასრად ნალესი;
მან შეგვაღულა, შეგვაერთა მჭიდროდ, ერთსულად,
მით ავიცილეთ ბევრჯერ მტრების რბევა-თარეში.

ღვთის შთაგონებით შენი ბრძნული ნაქადაგარი
ეხლაც გვამაგრებს, გვაფაქიზებს, ზნეობით გვგურნავს;
არასდროს დავთმობთ, საშვილიშვილოდ შევინარჩუნებთ,
მანამ ეს მიწა მზის გარშემო მიჰქოის და ბრუნავს.

ე. ფაშალიშვილი
ლონდონი

რთველი



საქართველო
საგანგრძელო მინისტრი

დაცურდა ვენახის მხურვალე ციალი
და, მთვარემ ცალთვალამ ღიმილი ისურვა;
ჩანჩქრებთან ალერსი, ვერხვების შრიალი,
მტევნები მზექალის ამტყარი ზღვა ხურვა !

მკერდს შლიან ზვრები, უინის ამორძალები;
ღვივდება მზის ელდის ალება დასტური;
ჭიგოზე ხარდანი, ზმორებად ნავლები,
ჭურქენი შავი, მუსკა, ალადასტური..

ქანაობს ხარებად სურვილი ხარული,
კასრებში იღვრება მზის წაქის თაკარა.
ტანგრეხა ქალების ხურდება არული,
ტაბლაზე გადმოდის ტკბილი და თათარა.

შარბათის სიამით ყრუვდება თვით სევდა,
საწნახლის კარებთან ქარდება უგვანო;. .
ცეკვავენ ჭინკები თმათაფლა ქალებთან
და, ცერობს დაისში რქათვალა დიონოს.

მუზეის—პანენსი, 1944.,

ნიკო ფიროსმანი

შენი დიდების მოციქული იყო ყნწვისი;
მზის მარაოში ჩანდი, როგორც რიერაჟის სიბრძნე;
ანგელოსების შენ გიხმობდა შვენების ცისზნე,
იყვი გრძნეულ ფერთა კრთომა, ღამე და დღისით..

ცხოვრობდი, როგორც შუალამის ბოგანო ლანდი,
თვალის სიამედ უხვად ღვრიდი გულიდან ფერებს,
ძერწავდი სულებს, აჩრდილებთან ღამენათენებს,
რომ დამტკბარიყავ ცის ბუნების იღუმალ ბანგით..

ცივ მჭუდროებას ზოგჯერ ძრავდი ქუჩის ხმაურებით და საღრმობელებად ჩანდნენ დუქნის ღია კარებით და დიდების მეფედ — იქ სიგიჟე აურზაური.

და, გწვავდა კიდევ სულის მძიმე სხვა უფსკრულები :
თბილისის ზეცა, პიტიახშთა მთვარე, არმაზი,
მღვრიე ბოჭემა, ორთაჭალის შენი პარნასი..

1964 წელი
გიორგი ტოვონიძე

*** *** ***

ინვექტივა—მონუმენტი (პოემა)

[გაბრიელ ჯაბუშანურის ეს პოემა გადმობეჭდილია „ოქროს საწმისი“ № 1-დან, რომელიც 1975 წლის მაისში თვითგამო-ცემის წესით გამოიცა თბილისში ზეიად გამსახურდიას რე-დაქტორობით.]

1

სამყროს რისხვა შენთვის ახია
და რისხვაც გითხარ მე,-სიტყის ლოთმა,
რამდენი ღერიც თმისა გასხია,
იმდენი კაცის გამძიმებს ცოდვა..
წყულო, თავზე რამდენიც თმა გაქვა,
იმდენი დედის გიღვრია ცრემლი,
შენი ქოჩორი ჩამოგავს ჯაგარს,-
შუბლს დასწოლია, ვითარცა გვილი..
შეკრული შუბლი შავი ხევია,
წარბინი გველნია, სავსე შხამითა,
ისინი არც კი შეიჩევიან,
გინდ გადაბრუნდეს ეს დედამიწა..
მილიონები მაგ შუბლს ჰმონებენ,
ხალხი მის რისხვას ვეღარ იცილებს..
ეგ ნაოჭები მე მაონებენ :
წერილად დახლართულ გველის წიწილებს,
შუბლის ნაოჭნი—გველის წიწილებს
ჰგვანან,—მათ წარბი—გველი ეთავსა

და მჯერა : - მალე ჯელა იწიგლებს :

აღამის ძეთა ამოშფეტასა .. .



2..

ჩაღრმავებული შენი თვალები
ვულკანებია ჯოჯოხეთისა,
უცხოა მათთვის რამ შებრალება,
უცხოა მათთვის ცრემლის წვეთიცა
მშვიდიდ უმზერენ ხალხთა წამებას
თვალები შენი,-ჩვეულნი გარჟნის,
მათ შეუძლიათ შეუწყარებლად
ასევ უმზირონ სამყაროს წარღვნას.
მაგ თვალებს ძალუძთ, რომ გადიტანონ
სოდომის კვრეტა განუწყეტელი;
ეგ მზერა მოჰვავს ასპიტ პიტალოს,
მისთვის უცხოა აზრი კეთილი..
თვალში გველები, შუბლზე გველები,
წარბიც გველები-გველებს ეთვისა,
შენი ჭურები არის ხვრელები
იმ დამეხილი ჯოჯოხეთისა.
შენი ჭურები-სატანის მოდგმის,-
არის ხვრელები ლუციფერისა,
რომელთაც ძალუძთ შენივე ხოტბის
მშვიდიდ მოსმენა,-სხვა არაფერი..
ხოლო ტუჩები, შხამით ნამცვრევი,
უმაღ მაგონებს ურჩეულის ტუჩებს,
რომ ღაღადებენ ხალხთა დაქცევის
და წყვლის სიტყვას არსმენილს, უჩვევს

3..

შენ დააბნელე მსოფლიო თალხით,
მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად,
თავისუფლება წართვი ხალხებს
და თავისუფლად ფიქრის უფლებაც.
შენ ხალხი ისე მოაშთე ტანჯვით,
რომ თვით ხოტბასაც შენს მიმართ კრძალვით
გამოთქვამს იგი, აურეოლებს ტანში,-
უღვთოდ დამეხილს უხეში ძალით.
შენ ზეცის შვიდივ კარი დარაზე,

ხალხს ჯოჯოხეთის დაეცი მეხი,
 რაც წმინდა იყო ამ ქვეყანაზე
 შელახე, უღვთოდ გათელე ფეხით,
 შენ უბოროტეს დემონის ჯუფთი
 მკრეხელობ ურცხვად, ზვავად, თავნებად,
 შენ უწმინდესი ტაძრები უფლის
 გადააქციე ცხენის თავლებად.
 ქლეც, უგრძნობელი, შენ ააკვნესე
 და შენმა შხამმა მთებიც მონავსა,
 მიკვირს, ვით იტანს პლანეტა ესე
 მაგ სისაძაგლეს გაუგონარსა !
 ბარი სისხლისგან მთლად იწრიტება,
 მოლნიც მოცვარა სისხლისა მცვრევამ..
 ჰაერი რად არ დაიშრიტება,
 ან ზეცა რად არ ჩამოიქცევა....
 რად არ შეუდგა ქვეყანას უამი,
 რად არ იქცევა, ნეტავ, ქედები—
 შენგან დაღვრილი ამდენი შხამით,
 რაც დააზღვავე შენივ ქმედებით....
 მდინარეთ დარად უგრცეს ზღვებს ერთვის
 ხალხთა სისხლისა და ცრემლის ჩქერი;
 ადამის ძეთა სიცოცხლე შენთვის
 არის უბრალო გაფრენა მწერის.

4

შენ ხალხებს ზაქვის აუცერ ხვითო
 და ორპირობა საქვეჩოდ გათქვი..
 ო, ნუ იფიქრებ გწყვლიდე ვითომ,-
 შენ წყეული ხარ შენივე საქმით,
 შენ წყული ხარ შენივე აზრით,
 შენ ბოროტების კიდემდე მიხვედა..
 შენ ეს ქვეყანა მონების ბაზრად,
 შენ ეს ქვეყანა აქციე ციხედ..
 აქციე ციხედ, -თულის თაღებით
 და ადენ ტყვეთა სისხლის უხვ წყაროს..
 შენ თავგაცების წმინდა, ნალები
 მოხადე ხალხებს, მხეცო უწყლოვ !
 შენ თავგაცების მწვედ გამწირველი



ტანჯულ ხალხს ხდიდი მართალთა ნაღებს, უროვნეული
 რომ ყოფილიყვა თავად პირველი,
 რომ დაგეოკა ეგ სიამაყუ.
 რა დაგაოკებს, რა შეგაჩერებს,
 ხალხს ვით შეხორცილეს ჭრილობის შრენი....
 ძარცვავ თვალდათვალ და თან გვიჯვერებ,
 რომ ხალხისათვის სიკეთეს შვრები..
 და ხალხთა თავზე აწვდილ დიდ მახვილს
 ვინ შეაგებოს ხმლი თუ ჩადრი....
 ხოცავ თვალდათვალ და თან იძახი,
 რომ ხალხისათვის წყალობას სჩადი..
 ძალა ხელთა გაქვს, ვის რასა ჰქითხავ,-
 სიტყვას ჭეშმარიტს ხარჯავ თუ არა..
 სტყვი თვალდათვალ, მაგრამ ვინ გითხრას,
 რომ შენ, წყულო, ხარ მატყვარა..
 დიახ, ხელთა გაქვს ჭელა უფლება
 და ვინც იშიშვლებს სიმართლის ხანჯალს,
 მყს მოგუდავენ ჭორის ღრუბლებით,
 თან მილიონებს მისცემენ ხანძარს..
 ღაწვს არ დაგიწვავს ჩენა სიწითლის,
 ცრუ არც ნამუსის ქეჯნას გრძნობ ოდნავ,
 თუმცა რა უნდა შენთან სინიდის,-
 სიმართლედ გიჩანს თვით შენი ბოდვაც..
 შენ, ჯოჯოხეთის შავო ნაცარო,
 ნუთუ ვერასძროს მოგაშთონ წლებმაც..
 მზად ხარ: სამყარო თავს ანაცვალო,
 რომ მიაღწიო დიდების მწვერვალს..
 ეს კიდეც შესძელ შენ უეჭველად
 და ტირანთ ღმერთზე ხარ ასჯერ მეტი,
 მაგ ბოროტებით, ო, გველო ჭრელო,
 თავად დაიდგი შენ მონუმენტი
 შენ მონუმენტი თვალმიუწვდენი
 თავად დაიდგი სიაგის შმორით
 და იმა ძეგლთან პლანეტა ჩვენი
 ჩანს, როგორც მზესთან ვარსკვლავი შორი.

(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

1950-53 წელი. გაბრიელ ჯაბუშანური



ილიკო სუხიშვილის გარდაცვალება

წელს 24 მარტს 77 წლისა, ხანგრძლივი მძიმე ავაღმყაფობის შემდეგ, გარდაიცვალა სახელგანქმული მოცეკვავე და ქორეოგრაფი ილიკო (ილიკო) სუხიშვილი.

უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, განსვენებული, მეუღლე ქ. მარო რჩიშვილთან ერთად, ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური ცეკვების დასს, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა დიდი მოწონებით და მით გაცობრიობას გა-აცნო და შეაფარა ჩვენი ხალხი, მისი კულტურით, ცეკვებითა და სიმღერებით.

ილიკო სუხიშვილის დამწუხხებულ ოჯახს, და საერთო ქართული ეროვნული წელოვნების გულშემატკივართ, ჩვენს მწუხარებასა და თანაგრძნობას უცხადებთ. „გუშაგი.“

გაზის აფეთქება თბილისში

გასული წლის 22 დეკემბერს „ფრანს პრესის“ სააგენტომ მოსკოვიდან გადმოსცა ცნობა, რომ სამშაბათს 2 დეკემბერს თბილისში, ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის სარდაფში, მომხდარა გაზის ძლიერი აფეთქება, რასაც გამოუწვევია შენობის დანგრევა და დიდალი მსხვერპლი.

გაზ. „იზვესტიას“ აფეთქების შემთხვევა გამოუცხადებია მხოლოდ 18 დეკემბერს, მაგრამ, როგორც საბჭოური წესია, იქ არაფერია ნათევამი ადამიანთა მსხვერპლის შესახებ.

„ფრანს პრესის“ ცნობით, რომელიც მოსკოვის დისიდენტთა წრის ცნობას ემყრება, აფეთქების შედეგად ას კაცზე მეტი დაღუპულია. უშუალოდ, სამშობლოდან მიღებული ცნობების მიხედვით, გაზის ზემოდ ხსენებულ აფეთქებას აღილი პქონებია თბილისის 26 კომუნარის რაიონის ერთ-ერთ მუშათა საცხოვრებელ სახლში, დილით აღრე, რასაც დიდი მსხვერპლი გამოუწვევია და დაღუპულთა რიცხვი სულ ცოტა 150; მაინც უნდა იყოს.



მერაბ კოსტავას ვაჟის თვითმკვლელობა ურუველი შიგაუკიდესებისა

სამშობლოდან მიღებული შეუმოწმებელი ცნობის მიხედვით, მერაბ კოსტავას დედისერთა ვაჟიშვილს, რომელიც 20 - 22 წლის წაბლუკი უნდა ყაფილყო, თავი მოუკლავს.

თქმა არ უნდა, ამ შემაძრწუნებელი ტრალედის პასუხისმგებელია საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება, რომლის ორგანოები, აღბათ, უხეშ დაწოლას აწარმოებდენ ახალგაზრდაზე, რათა მას საცარელი მამა დაეგმო. ქართველ მამულიშვილთა მარტიროვობის გრძელ სიას კიდევ ერთი მიემატა. ჩვენი წუხილი განუზომელია და ჩვენს თანაგრძნობას ვუცხადებთ დაღუპულის მუშაობებს. „გუშაგი“

კატასტროფული თებერვალი

წლევანდელი თებერვალი განსაკუთრებით მკაცრი და დაუზოგავი იყო საერთოდ ჩვენში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. დიდ თოვლს მოჰყავა ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ძლიერი ცივი ქარები. ოცი დღის განმავლობაში უჩვეულო ჭრვები მძვინვარებდენ, ტემპერატურა ნულის ქვეშ 7 - 14 გრადუსის ფარგლებში მერყობდა, აფხაზეთის, აჭარის, გურიის და დასავლეთ საქართველოს სხვა სუბტროპიკულ რაიონებში. წარმოსადგენია, თუ რა კატასტროფული ზარალი მოუვიდოდათ ჩვენი შავი ზღვისპირეთის მეციტრუსეებს.

ოფიციალური მონაცემებით, რომელიც ორი არილის გაზეთ „კომუნისტში გამოქვეწდა, „მეტ-ნაკლებად დაზიანებულია მანდარინის ნარგავების 45 - 50 პროცენტი, ფორთოხლის - 95 - 98 პროცენტი, ლიმონის - 98 - 100 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობაა აჭარაში და დასავლეთ საქ-ს სხვა რაიონებში“ - ა.

ოფიციალური მონაცემებით ციტრუსების ბალებს ჩვენში 27 ათასი ჰექტარი ფართობი უკავიათ და უკანასკნელ წლებში იქ საშუალოდ იწევდენ 329 ათას ტონა ციტრუსს. აქედან ადვილი წარმოსადგენია ის ზარალი, რაც ამ მეურნეობის მშრომელებმა განიცადეს. .

საქართველოს პარტოკრატიამ მხოლოდ თვენახევრის შემდეგ
გააკეთა ამ კატასტროფიული მდგომარეობის რეაგირების ასახულების
აპრილს მოიწვიეს ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული
თათბირი, რომელსაც შრომელთა ზარალის ანაზღაურებაზე
კი არ გაუმართავს ბჭობა, არამედ იმაზე, თუ როგორ შეა-
სრულონ შექმნილ პირობებში, მოსკოვში დიდი ხნის წინ მი-
ღებული სახელმწიფოსათვის ციტრუსების ჩაბარების გეგმა..
„საქიროა ყველაფერი ვიღონოთ, ვკითხულობთ „საქინფორმის“
ოფიციალურ ცნობაში, აღინიშნა თათბირზე, რათა გადავუკე-
ტოთ ყველა არხი წლევანდელი ციტრუსის უკანონ გატანას
რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.. აუცილებელია ამთავითვე ნა-
თლათ განვუმარტოთ საქართველოს ნაკვეთების მფლობელებს
შექმნილი მდგომარეობის სერიოზულობა, მიზნად დავუსახოთ,
რომ მთელი ქირნახული მიჰყდონ სახელმწიფოს და თავისთვის
დაიტოვონ მხოლოდ საქირო რაოდენობის ციტრუსი.“

ასეთებია ჩენი ქვეწის გლეხების ახლი ბატონები : ყველა-
ფერი სახელმწიფოს ! რა თქმა უნდა, მუქთად, შენ კი, გლე-
ხო, გინდაც თავში ქვა გიხლიაო..

მაიას მესამედ გამარჯვება

გასული წლის 25 ოქტომბერს, ქ. ცოლოგრადში (ყაფილი სტა-
ლინგრადი) დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონა-
ტი ჩენის მაია ჩიბურდანიძესა და რუს ირინა ლევიტინას შო-
რის. ქართველმა ჩემპიონმა ბრწყნაგალედ გაიმარჯვა და მესა-
მედ დაეუფლა ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონ-დედოფლის წოდე-
ბას.. ვაშა, ვაშა ქალო, საქართველოს თვალი !

კარპოვ-კასპაროვის უშედეგო მატჩი

თიქმის იმავე დროს დაიწყო საჭადრაკო მატჩი მოსკოვში,
მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და მის მოცილე გარი
გასპაროვს შორის, ორივე საბჭოთა მოქალაქე, პირველი ერო-
ვნებით რუსი, მეორე კი ბაქოელი, მამით სომეხი და დედით
ებრაელი.. ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციური ორგანიზაციის

(ფ.ი.დ.ე.) მიერ წინასწარ მიღებული წესის თანახმად დოკუმენტის სათამაშებელი პარტიების რაოდენობა განსაზღვრული და მოვალეობის ფილა, მოქმედეთა შორის, ვინც პირველი ეჭვს პარტიას მოგებდა, მომავალი ჩემპიონიც ის გახდებოდა. .

დასაწყაში კარპოვი დაწინაურდა, ხუთი პარტია მოიგო კასპაროვის ერთის წინააღმდეგ. .თითქოს გამარჯვება ჯიბეში ედვა, მაგრამ უკანასკნელი პარტიის მოვება არ იქნა და არა, ყაიმები ყაიმებს ცვლიდა, ყაფილი ჩემპიონი მხოლოდ თავს იცავდა, თამაშობდა ფავლად უფერულად და მხოლოდ მოწინააღმდეგის შეცდომებს ელოდა. .ასე გაგრძელდა 46. პარტია, ხოლო 47 და 48 პარტიები ზედიზედ მოიგო ჩემპიონის წოდების მაძიებელმა ახალგაზრდა გარი კასპაროვმა. .კარპოვი ფიზიკურად და გონებრივად სრულიად გამოფიტული ჩანდა. 49-ე პარტიის გათამაშების წინ, რუსებმა პრესკონფერენცია მოაწყეს, რომელზედაც ფ.ი.დ.ე.-ს თავმჯდომარებ, ფილიპინელმა ფლორანსიო კამპომანესმა სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა. შეჯიბრების შეწყვეტა, მისი ორივე მონაწილის ინტერესებიდან გამომდინარეო, რაზედაც კასპაროვმა იქვე საჯაროდ სასტიკი უკმაყოფილება გამოაცხადა. .ცხადი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფალნი უხეშად ჩაერიენ ამ ერთი შეხედვით უმანკო თამაშშიაც და კამპომანესზე ზეგავლენით დამარცხებისგან იხსნეს მათი ფავორიტი კარპოვი. .

კალრაკის საერთაშორისო სამყაროში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამ უჩვეულო ინციდენტმა. .

აღსანიშნავია, რომ ან. კარპოვს არცერთი სანიმუშო პარტია არ უთამაშნია მთელი შეჯიბრის მქდილზე. .ისიც არაა დავიწყბული, რომ მას მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი ცხარე ბრძოლით არ მოუპოვებია, მას ის ხონჩით მიართვეს, რადგანაც ამერიკელმა მსოფლიო ჩემპიონმა ბობი ფიშერმა უარი თქვა ფ.ი.დ.ე.-ს პირობებს დათანხმებულიყა. .ფიდეში კი საბჭოთა საშახმატო ფედერაცია ბატონობს.

***.

ლენინის მესამე ორდენი

გასული წლის 11 ნოემბრის გაზ. „კომუნისტი“-დან ვგებულო-

ბთ : თბილისში გამართული დიდი ოფიციალური ზემოქმედების დროსაც საბჭოთა საქართველოსთვის ლენინისტური კულტურული გადაუციათ. საბჭოთა მთავრობის ეს სანუკვარი ჯილდო თვით ამხანაგ ტიხონოვს დიდი ამაღლით ჩამოუბრძანებია. ამ დიდ ჯილდოს ედ. შევარდნაძე ჯერ კიდევ 1983 წელში ელოდა, გეორგიევსკის ტრაქტატის 200. წლისთავის ზემოქმედების მაგრამ მაშინ მას ბედმა უმუხლოდა, მისი მფარველი ბრეჟნევი მიიცვალა და, როგორც ჩანს, ანდროპოვი მას მოწყობლე თვალებით არ უჟურებდა. შევარდნაძის საბედნიეროდ, ანდროპოვმა დიდხანს ვერ იმედა კრემლში. იგი ბრეჟნევის ერთგულმა ჩერნენკომ შეცვალა, რომელმაც შევარდნაძეს დანაპირები გაუნადდა. ცოტაც რომ დაცლოდა, ჩერნენკოც მიიცვლებოდა, ანდროპოველი გორბაჩოვი მოვიდოდა და უნდა გივარაუდოთ, რომ შევარდნაძე ლენინის ამ სანუკვარ რჩდენს ვეღარ მიიღებდა. ამაზე თქმულა : ბედი მომე, ქვაზე დამსვიო.

ეს საინტერესოა

ა. წ. 24 იანვრის გაზ. „კომუნისტში“ პატარა საინტერესო კორესპონდენციაა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ კახეთში ზოგიერთი რესტორანი გადაუქვანიათ „იჯარაზე“, რაც ნიშნავთ თურმე იმას, რომ რესტორნის დირექტორს ეძლევა სრული პატრონისებური უფლებები. ამ რეფორმას, კორესპონდენციის მიხედვით, დიდი მოგება გამოუწვევია. კორესპონდენცია ირწმუნება, რომ „კერძოობასთან“ ამას საერთო არაფერი აქვსო. ჩვენ მაინც წინააღმდეგს ვფიქრობთ : ამას ძალიან დიდი საერთო აქვს კერძომესაკუთრეობასთან. .

„განაჩენი აღსრულებულია“

ასეთი სათაური აქვს გაზ. „კომუნისტის“ (8. 12. 84.) ერთ წერილს, კიდევ ერთი სიკვდილის განაჩენისა და მისი სისრულეში მოჟვანის შესახებ. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას გაურჩევია საგარეო ჯოს საცდელ-საექსპერიმენტო ფაბრიკის ღირებულების საქმე, რომელთაც 2 წლის განმავლობაში 1,792 ათასი მანეთი სახელმწიფო თანხა გაუფლანგავთ. როგორც ცნობაშია ნათქვამი, „სააკადეს სიკვდილი მიესაჯა და გაითვალისწინა რა სააკადის მიერ ჩადენილი დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საფრთხე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უარყო მისი შუამდგომარეობა შეწყვლებისა, განაჩენი აღსრულებულია“-ო.

თავდაპირველად, ეს ამბავი მოწმობს საბჭოთა ხელისუფლების სრულ უძლურებას, მას სიკვდილის გარდა სხვა არაფერი საშუალება გააჩნია სახელმწიფო მოხელეთა კორუპციის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორ მოხდა, რომ სააკადემ ამდენი ფული გამოძალა სახელმწიფოს ორი წლის განმავლობაში? მას ხომ პარტიული და ადმინისტრაციული კონტროლი ჰქონდა? ნუთუ ისინი წელიწადში ერხელ არ აკანტროლებენ?! მაში, თუ სააკადეს სიკვდილი ეკუთვნოდა, მაშინ, პირველ რიგში, სამაგლიოთოდ უნდა დასჯილიფენ საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის კონტროლის პასუხისმგებელი და საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი. ახლა, რაც შეეხება პრინციპს: სიკვდილის სასჯელი შეიძლება გმართლებული იქნეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს ყველგვარი ეჭვის გრეშე დაუმტკიცდა წინასწარი განზრახვით ჩადენილი მგვლელობა, უმანკო ბავშვებისა და უძლური მოხუცების განუკითხავი მკვლელობა, ყველა სხვა დანაშაულისათვის და კერძოდ გაფლანგვა-ქურდობი სათვის, რაგინდ თანხა დიდი არ იყოს, დამანაშავის სიკვდილით დასჯა მართლსაჯულება კი არ არის, არამედ მისი სახელით ჩადენილი განუკითხავი მგვლელობა. მკვლელობა აღამიანური სიცოცხლის, რომლის გაცოცხლება, მკვდრეთით აღდგომა, მათ აღარ ხელიწიფებით.

ეს უთავგბოლო და უთვალავი მკვლელობა უზარმაზარ წარუხოც ლაქად თან სდევს ბოლშევიკურ-კომუნისტურ ძალაუფლებას, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ოქტომბრის გადატრიალების მომენტიდან დღემდე. მომქმედი „გმირები“ იცვლებიან, ერთნი მიღიან, სხვები იკავებენ მათ ალაგს, ხელისუფლება და

მისი სამართალი კი რჩება უცვლელი, რომელსაც საჭროსულ
ფლოდ და სამართლმსაჯულებლოდ სხვა არაფერი გჰიჩინის გრძელება
გარდა სიკვდილისა, სიკვდილისა და კიდევ სიკვდილისა !!!

გუშაგი

განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების პარიზის საელჩო გვატუ-
ბინებს, რომ რადიო „ამერიკის ხმას“ ქართული რედაქციის-
თვის ესაჭიროება რამდენიმე თანამშრომელი და გვთხოვს გა-
მოვაჭვეჭით შემდეგი განცხადება :

„THE VOICE OF AMERICA IS SEARCHING FOR QUALIFIED
APPLICANTS FOR THE GEORGIAN SERVICE IN WASHINGTON,
D.C., REQUIREMENTS ARE FLAWLESS GEORGIAN, A GOOD KNOW-
LEDGE OF ENGLISH, A GOOD BROADCASTING VOICE AND
THE ABILITY TO WRITE., PLEASE SEND RESUMES IN ENGLISH
TO : VOA PERSONNEL, ROOM 1192, 330 INDEPENDENCE AVE-
NUe, S.W., WASHINGTON, D.C., 20547.

ჩვენი დიპლომატების ახალი დანიშვნები

პატივი გვაჭვს ვაუშტოთ მკითხველებს, რომ 1984 წლის 22
ნოემბერს „საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ უურნალ-
ში“ საფ—ს მთავრობის შემდეგი ბრძანება გამოქვეწდა:

„რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრისა და საგარეო
ურთიერთობის მინისტრის წარდგინებით, ბრძანებს :

ბ. კლოდ დე კემულარია, საფრანგეთის არაჩვეულებრივი და
სრულუფლებიანი ელჩი ჰოლანდიაში, დაინიშნოს საფრანგეთის
მუდმივ წარმომადგენლად უშიშროების საბჭოში და საფრან-
გეთის მუდმივი მისიის უფროსად გაერთიანებულ ერთა ორგა-
ნიზაციის წინაშე, ნიუ-იორკში, ბ. ლიუკ დე-ლა-ბარ-დე ნა-
ნტოილის მაგივრად. ბ. კლოდ დე კემულარიას ეჭნება ელჩის

წლისთავზე, ვიქტორ ნოზაძის კეთილი ხსოვნა 1.000
 შემოწირულებათა ჯამი 20.233

ჩვენი უღრმესი მადლიერება ყელასაღმი.

შ ი ნ ა რ ს ი

.2	გლოვის ზარები კრემლში	მოწინავე
.7	ეროვნული მოძრაობა საქართვე-ში	გურამ გელოვანი
.22	საქ-ლო და „სასურსათო პროგრამა“	გურამ გელოვანი
.26.	25 თებერვლიდან 14 აპრილამდე	გულბათ გულბათიშ-ი
.29	ორიოდე სიტყვა უღირსთა გამო	ოთარაანთ ქვრივი
.32	10 წლისთავი ლევან ზურაბი- შვილის გარდაცვალებიდან	გოგი წერეთელი
.41	ლევან ზურაბიშვილის ხსოვნა	ტიტიკო ჩხეიძე
.42	გოგი ჯაფულის დამშვიდობება	გიორგი ნაკაშიძე
.44	გიორგი (გოგა) ჯაფული	აკაკი შავველიძე
.45	აკაკი (კაკო) გამსახურდია	მინაია ლაშაური
.47	ალექსი ჩხერიძელის გამოსათხოვარი სიტყვა	თამაზ ნასყიდაშვილი
.48	სამგლოვიარო განცხადებები	
.49	მეც ჩამწერეთ ცხოველების სიაში	მიხაკო საჩხერელი
.53	ინფორმაციები	გუშაგი
.57	ეგნატე ნინოშვილი	თელო რაჭველიშვილი
.64	პოეზია:	
	ლევილის სასაფლაოზე	ი. მე-ი
	წმინდა ნინო	უ. ფაშალიშვილი
	„რთველი“. „ნიკო ფიროსმანი.“	გიორგი ტოგონიძე
	ინვექტივა-მონუმენტი-პოემა-	გაბრიელ ჯაბუშანური
.71	გამოძახილი სამშობლოს ამბებზე-	გუშაგი
.77	ჩვენი დიპლომატების ახალი დანიშვნები	
.78	ეროვნული მნიშვნელობის წამოწყება	
.79	შემომწირველთა სია	

767/9



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITION HORS COMMERCE